



# როლანდი



E-mail: r.jalagania@mail.ru

E-mail: roland.jalagania@mail.ru

№363 (422) 17-24 მაისი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ორბანო 30 თემი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააქი შენიძა



**მამანტი ძაქაშია:**  
რას ნარმოადგენს  
თანამედროვე ენა,  
სინამდვილეში, და  
რა ინვეს  
შესდომებს სიჭყვის  
ეტიმოლოგიის  
ღაღბენისას

გვ.2


**ედეგი იზორია:**  
სიჭაჭები ღავით  
შავიანიძეს ნიბნიდან  
„სამეგრელო“

გვ.11

**პროფესორ  
ბრიგოლ  
ხვიშიას  
გახსენება**



გვ.4



**ნაომ მესხია:**  
“ყველას  
ერთნაირად  
როდი  
სტკივა  
აფხაზეთი”

გვ.6

**იზა თამაზაშვილი:**  
“საქართველო  
არჩევანი სივილიზებულ  
სამყაროსა და რუსეთს  
შორის უნდა გააქეთოს”  
...მე ღავწვავ ამერიკისა და ევროკავშირის  
დროშებს სააკოვის ხუთჯგერინ დროშასთან  
ერთად...

გვ.9



**სტუმრად აკირო  
კუროსავასთან  
როლანდ ჟალაღანიას  
მოგონებები რეზო  
ჩხეიძეზე**

გვ.2,3



**ღავით ქობალია:**  
“ღოუქანი სონსორავს  
არაღი ღო შარიქას...”  
(ღროა ქვეყანა  
გაიგოს რა ხღება  
სინამდვილეში  
“ანაკლია-პორტის”  
გარშემო!)

გვ.6



თუ მეგრელი ხარ, ე. ი ყველაზე დიდი ქართველი ხარ იმიტომ, რომ კოლხეთის სამეფო იყო პირველი კოლხური წარმონაქმნი მაშინ, როდესაც არ არსებობდა, ერთი კრებითი სახელი ქართველთა საქართველო! თუ მეგრელი ხარ ე.ი ძალიან ამაყობ, ამაყობ იმიტომ, რომ საქართველოს უძველესი შვილი ხარ! თუ მეგრელი ხარ ე.ი ღმერთმა ორი მშობლიური ენა მოგცა ოდითგან კოლხური-ზანურ-ჭანური, რომლის მემკვიდრეა რა თქმა უნდა მეგრული და რა თქმა უნდა ქართული, მშობლიურია ორივე ჩემთვის! თუ მეგრელი ხარ ე. ი ტკბილი მეგრული ნანა გსმენია ღედისა! თუ მეგრელი ხარ მორდიობა შენთვის ძალიან დიდი რამაა! თუ მეგრელი ხარ ტერენტისიანი ხარ!

თუ მეგრელი ხარ ძალიან დიდი ქართველი ხარ და დანარჩენი საქართველოს ღეღა ბოძი ხარ! “სამეგრელოში მოველ და საქართველო ენახე – დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქართველის გადაშვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა და რღვევისა და გაწბიღებისა... მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსული და ერთგული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც”

გვ.10

ილია ჭავჭავაძე





# სპუერად აკირა კუროსავასთა

1986 წელს, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული, კომუნისტური იდეოლოგიის ჭახრაკები კი საგრძობლად მოეშენენ, მე ორ ადგილზე, უფრო სწორად, ორ სხვადასხვა ქალაქში ვმუშაობდი, რაც მაშინ იშვიათ გამოწვევას წარმოადგენდა.

თბილისში ვმუშაობდი გამოცემლობა "მერანის" დირექტორის მოადგილედ, მოსკოვში კი მეკავა საკავშირო ურნალ "ეროკოლიის" ლიტერატურული განყოფილების რედაქტორის თანამდებობა. ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა ურნალ "ეროკოლიის" მთავარმა რედაქტორმა, ცნობილმა რუსმა პოეტმა, ჩემმა მეგობარმა ალექსეი პიანოვმა და მაუწყა, რომ ჩართული ვიყავი საბჭოთა ურნალისტების იმ დღეგადაცემის შემადგენლობაში, რომელიც იაპონიაში მიემზადებოდა.

ძალიან გამეხარდა, მაგრამ უპირველესად იმის სურვილი გამიჩნდა, რომ როგორმე შევხვედროდი სახელგანთქმულ იაპონელ კინორეჟისორს, იაპონური კინოს დიდ კლასიკოსად აღიარებულ, რეზო ჩხეიძის შემოქმედების თავგანისმცემელ აკირო კუროსავას. საბჭოთა დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ, მასში შედიოდნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები და სწორედ ამან გამაბედინა, რომ იაპონური მოეზაურება გამემდიდრებინა მსოფლიოში ცნობილ იაპონელ კინორეჟისორთან შეხვედრით.

რათა კიდევ უფრო ახლოს გაგაცნოთ ამ "დიდი იაპონელის" ადგილი და როლი მსოფლიო კინოს ინდუსტრიაში, მიზანშეწონილად მივიჩნევ წარმოვიდგინოთ მისი ბიოგრაფია.

აკირა კუროსავა – იაპონელი კინორეჟისორი. მას მიიჩნევენ იაპონური კინოს კლასიკოსად. იგი პოპულარული იყო როგორც სამშობლოში, ისე მიუღწეველ მსოფლიოში.

აკირა კუროსავა დაიბადა 1910 წლის 23 მარტს. აკირას მამა ძველი სამურაების გვარიდან იყო. მისი გავლენის ქვეშ იგი სკოლიდან დაინტერესდა საბრძოლო ხელოვნებებით და ეკრძოდა კენდოთი. თუმცა მის საყვარელ საქმიანობად ხატვა იქცა. ამის გამო იგი მხატვრობასაც აპირებდა და სწავლობდა კიდევ ხელოვნების აკადემიაში. მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა 1936 წელს, როდესაც გახუთში ნახა P.C.L. სტუდიაში ვაკანსიის შესახებ გამოქვეყნებული განცხადება. ამის შედეგად, იგი რეჟისორ კადრო იამამოტოს ასისტენტი გახდა. თავდაპირველად წერდა სცენარებს, თუმცა მათ შორის ბევრი არ იყო ეკრანიზებული და ისინი მხოლოდ და მხოლოდ ურნალებში იბეჭდებოდა.

პირველი ფილმი კუროსავამ როგორც რეჟისორმა დადგა 1943 წელს, ეს იყო "ძიუდოს გენიოსი", სადაც ახალგაზრდა ძიუდოსტის აღზრდაზეა მოთხრობილი. ამ ფილმში გამოიკვეთა კუროსავას ადამიანის სწრაფვა სულიერი სრულყოფილებისკენ, რაც რეჟისორის სხვა ფილმებში უფრო გამოიკვეთა.

1944 წელს აკირა კუროსავამ გადაიღო მხატვრული ფილმი "ყველაზე ღამაზე" და გადაღებების დასრულებისთანავე ცოლად მოიყვანა მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი იაგუტი ეკო. მათ ორი შვილი ეყოლა.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კუროსავამ გადაიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი "გუფხვის კვალს მიმყოფი", რომელიც მაშინ ამერიკის პროტექტორატის ქვეშ მყოფი იაპონიის ცენზურის ჭირვეულობის გამო მხოლოდ 1952 წელს გამოვიდა ეკრანზე. კუროსავას საყოველთაო პოპულარობა მოუტანა ფილმმა "მთვრალი ანგელოზი", რომელიც მან 1948 წელს გადაიღო. ამ ფილმში მთავარ როლს ასრულებდა იმ პერიოდისათვის დამწვები მსახიობი ტოსირო მიფუნე. მთვრალი ანგელოზების შემდეგ კუროსავამ მიფუნე კიდევ 15 ფილმში ათამაშა, შეიძლება ითქვას, რომ მათი შემოქმედებით ტანდემი ყველაზე გამორჩეულია არა მხოლოდ იაპონური კინოს ისტორიაში.

1950 წელს კუროსავამ გადაიღო ფილმი "რასიომონის ჭიშკარი", სადაც მთავარ როლს ტოსირო მიფუნე თამაშობდა. ფილმი ეგვიპტეში გადაიღო, რა უნდა გაეკავას მოთხრობას "უსიერ ტყეში". ამ ფილმით კუროსავამ დაანგრია იაპონური კინოს

ტრადიციული სტილისტიკა. 4 ადამიანი სრულიად შემთხვევით ტყეში მკვლელობის და გაუბატურების მომსწრე ხდება. ოთხივე მოწმე მომხდარის სრულიად განსხვავებულ ვერსიას ყვება, მათი მონაცემების განრიკალურად განსხვავდება და ხარაღებულის და დამნაშავეს მონაცემიც, რეჟისორი არ ცდილობს გაარკვიოს სიმართლე, იგი ამ ფილმით აჩვენებს, რომ ადამიანს არ აქვს მოვლენების ობიექტურად გადმოცემის უნარი, საკუთარ თავზე მიუკერძოებლად ვერ საუბრობს, რადგან ადამიანის მთავარი თვისება ეგოიზმია.

ეგოიზმთან ბრძოლის მაგალითი კუროსავამ თავის ფილმ "ცხოვრებაში" მოგვცა, რომელიც 1952 წელს გამოვიდა. მთავარი გმირი იგებს, რომ მას 5-6 თვე დარჩა სიცოცხლე. ეს მას უბიძგებს გადახედოს თავის ცხოვრებას და რადიკალურად შეცვალოს იგი.

აკირა კუროსავამ სრულიად შეცვალა სამურაების ტრადიციული სახე კინემატოგრაფიაში. იგი არ იღებს ტრადიციულ ტიპის ფილმებს სამურაების შესახებ, სადაც იდეალურ ქვეყნულ სამურაებში ძირითადად სიყვარულსა და მოვლევას შორის არჩევნის დილემაზე ფიქრობენ. მის ფილმებში ასახულია უფრო რეალისტური ბრძოლა ფულისთვის და ძალაუფლებისთვის.

1954 წელს საკუთარი სცენარითა და რეჟისურით გადაღებულმა ფილმმა "შიდი სამურაი" ამერიკის კინოაკადემიის მთავარი პრიზი ოსკარი მოიპოვა. შემდეგ კი ამერიკელმა, მათთვის ჩვეულ სტილში, ამ ფილმის "გადამუშავება" მოახდინეს "შესანიშნავი შედეგად" (ამერიკელები ხომ ლიტერატურული და მხატვრული ტილოების ქურდობის დიდოსტატები არიან – განა სწორედ მათ არ მოგვპარეს ქართველებს დიდი ვაჟა-ფშაველას მოთხრობა "შელის ნუკის ნაამბობი" სიუჟეტი და გადაიღეს მულტფილმი "ბემბი", რომელიც დღესაც კი ამერიკული კინოს ხელოვნების ნიმუშად ითვლება).

აკირა კუროსავამ რადიკალურად შეცვალა იაპონელი სამურაის ეკრანული სახე. მის ფილმებში სამურაები არა მხოლოდ პატრონისადმი უსაზღვროდ ერთგული მამაცი მეთრები არიან, არამედ გააჩნიათ საკუთარი სისუსტეებიც. ღამაზად გამოწვებილი სამურაების ნაცვლად მის ფილმებში არის ბინძური, მიფუნეს ნასვამი პერსონაჟი, რომელიც ცდილობს თავიდან აიცილოს მოსალოდნელი სისხლისღვრა, ხოლო საქმე საქმეზე როცა მიდის, მაშინ მამაცურად იბრძვის. ტოსირო მიფუნეს გმირები არა მხოლოდ ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევიან, არამედ სულიერებითაც, სამართლიანობის გრძობით.

აკირა კუროსავას პოპულარობის ზრდას 50-იან წლებში მისმა საყვარელმა უნიჭიერმა მსახიობმა, ტოსირო მიფუნემაც შეუწყო ხელი. იგი აშკარა სიკაშკაშით გამოირჩეოდა სხვა მსახიობების ფონზე. მუშაობისას კუროსავა გადაღებულ ფილმში მამობის ძალიან მომთხრობი იყო. მის ფილმებში დიდ როლს მსახიობების გარდა ბუნებაც ასრულებდა. მას შეეძლო გადაღების შეჩერება სასურველ ამინდამდე, ფილმში "რასიომონის ჭიშკარი" კოკისპირული წვიმა ისეთივე მრავალსმთქმელია, როგორც პერსონაჟები.

მიუხედავად იმისა, რომ კუროსავას ყოველივე ნაშრომი იაპონურითაა გაჯერებული, მას ასევე აღფრთოვანებდა დასავლური დრამა. შექმნილი ტრაგედიების გავლენით მან შექმნა ფილმები "ტახტი სისხლში" (მაბეტე), "შეომრის ჩრდილი" (მეფე ლიორი) და "სამოთხე და ჯოჯოხეთი" (მამლეტი). ასევე უნდა აღინიშნოს გორკისა ("ფსკერზე") და დოსტოევსკის ("იდიოტი") მისეული ეკრანიზაციები. დასავლური დრამების ეკრანიზაციის დროს იგი ერთგვარ ადაპტირებას აკეთებდა და პიესის სამოქმედო არეალი იაპონიაში გადააქონდა, რათა უფრო გასაგებდ და ნათლად გადმოეცა სათქმელი. მაგალითად, ფილმში "ტახტი სისხლში" არ არის არც ერთი ფრაზა შექმნილი სრულად არის შენარჩუნებული. ფილმი დადგმულია თეატრი 60-ს სტილში, მიუხედავად იმისა, იგი ითვლება "მაბეტეს" ერთერთ საუკეთესო ეკრანიზაციად.

1960 წელს აკირა კუროსავამ ტოკიოში დააარსა საკუთარი კინოსტუდია "კუროსავა პრო", სადაც დადგა ფილმები "ცუდებს მშვიდად სინათლე", "მცველი", "სანბიური",

"სამოთხე და ჯოჯოხეთი". ამის შემდეგ იაპონურ კინემატოგრაფიაში შექმნილმა კრიზისმა იგი აიძულა დაფინანსება პოლიფუნდში ეძია. მას აშკარად არ გაუმართლა, კუროსავას მიერ ჩაფიქრებული კინოს სხვა რეჟისორებმა გადაიღეს. 1969 წელს კი კუროსავამ და იაპონური კინოს სამმა გამოკვეთილმა დიდოსტატმა კინოშიტა კეისუკემ, იტიკავა კონმა და კობაიაში მასაკიმ დააარსეს კომპანია "ოთხი მხედარი", სადაც კუროსავამ თავისი პირველი ფერადი კინო "დოდესკადენი" გადაიღო. ფილმს კომერციული წარმატება არ ჰქონდა.

70-80-იანი წლები კუროსავასთვის მიძიმე გამოდგა. სამშობლოში მას ძალიან აკრიტიკებდნენ და იგი მხარდაჭერას საზღვარგარეთ ეძებდა. სწორედ ამ დროს სცადა თვითმკვლელობა დიდმა კინორეჟისორმა – მან გაიკეთა ხარაკირი და რომ არა ხელმადლიანი იაპონელი ექიმების მცდელობა, დიდი რეჟისორი ვერ გადაჩნებოდა.

სამურაის ღირსების კოდექსის შემეცნებით ხარაკირი გახლავთ არა უბრალოდ საკუთარ თავთან ანგარიშის გასწორება, არამედ წინაპართა ხსოვნისადმი ღირსეული პატივის მიგება, რადგან სამურაი მიიჩნევს, რომ თუ მან საქმე ისე ვერ გააკეთა, რასაც მისგან სამშობლო და საზოგადოება მოითხოვს, იგი ჩრდილს აყენებს წინაპართა ხსოვნას, რაც სისხლით უნდა იქნას ჩამორეცხილი...

იაპონელის რწმენით სამურაიდ ვერ შედგები, თუ შენში წინაპრების ხსოვნისა და ტრადიციებისადმი რწმენა ფუძისადაც მათაგან სპეტაკი და აძლევს არ არის!

აკირა კუროსავამ, რომელმაც ამერიკული ატომური ბომბის აფეთქებას გადარჩენილი ყველა იაპონელი ერთ კარგად იცოდა დაუნებელი ტოტალური ომის ფსიქოლოგია და მაღალ შეფასებას აძლევდა რეზო ჩხეიძის შემოქმედებას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სან-ფრანცისკოს ბერკლის ინსტიტუტის არქივის შენობაში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც კინოფილმ "ჯარისკაცია მამის" განხილვას მიეძღვნა, საჯაროდ განაცხადა: "გიორგი მახარაშვილი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჯარისკაცის მამაა".

სწორედ ასეთ ადამიანთან დავაპირე შეხვედრა იაპონიაში ყოფნისას, მაგრამ ვიციოდ რა, რომ კუროსავას მოუცვლელი გამო, მასთან ვიოიავი ოლი საქმე არ იქნებოდა, დახმარებისათვის სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიემართე თხოვნით, რათა ეშუამდგომლათ იაპონიაში საბჭოთა კავშირის ელჩის წინაშე ჩემი კუროსავასთან შეხვედრის ორგანიზების თხოვნით. დამპირდნენ, მაგრამ მტკიცე პირობა მაინც ვერ მომცეს, რადგან კუროსავა იმდენადაა დაკავებული, რომ მასთან სტუმრად მოხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

ჯერ ხაბაროვსკამდე ვიფიქრეთ და როცა იაპონიაში ჩავყვით, საბჭოთა საელჩოს კულტურის ატაშეს (რამდენადაც მახსოვს) იური გორიანჩევი დაუკავშირდა და მისგანაც ვერ მივიღე მტკიცე დაპირება, რომ კუროსავასთან შეხვედრას მომიხერხებდა, რადგან იაპონელი რეჟისორი ახლა მორთვ ფილმს იღებს და საშინლად დაკავებულია. მაშინ ვუთხარი ეცნობებინა კუროსავასათვის, რომ მისი ნახვა უნდა საბჭოთა პუბლიცისტ როლანდ ჯალაღანისა, რომელმაც მონოგრაფია შექმნა საბჭოთა კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და მისი აზრი აინტერესებს ჩხეიძის შემოქმედებაზე.

იმავე საღამოს კულტურის ატაშემ დამირეკა და გავიცნობ ვერ მალავდა – კუროსავამ ბრძანა, ხვალ საღამოს ოთხ საათამდე ყველა საქმეს მოვიდევ და მზად ვიქნები საბჭოთა სტუმარი მივიღო და მთელი საღამოს მას დავუთმო გვიანამდე.

გასაოცარი არაფერი იყო, რადგან კუროსავა მისთვის ძვირფას დროს უთმობდა მსოფლიო კინოს ერთ-ერთ პატრიარქს რეზო ჩხეიძეს. საერთოდ კი, დროის რაციონალურად გამოყენებელი იაპონელები სტუმრებს პატივს მცემენ დროის განმავლობაში – მაგალითად, 3 საათიდან 4 საათამდე და თუ ამ დროში სათქმელს ვერ ჩაატევენ, უშუალოდ იქნები რომ მასპინძელი დატოვო, რადგან იგი შემდეგ სრულებით არ მო-

გაქცევს ყურადღებას, თითქოს მასთან არც კი ხარ. სწორედ ამან გააოცა ატაშე, რომ ისეთმა მოუცვლელმა ადამიანმა, როგორც კუროსავა იყო, სტუმარს ვიოიავის დრო არ შეუკვეცა. მართალია იგი ტოკიოს მდიდრულ გარეუბანში ცხოვრობდა, მაგრამ ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ტოკიოდან ორას კილომეტრში იყო ბაზირებული, სადაც საელჩოს კულტურის ატაშეს ავტომატურად გავემზადებოდა.

გზა შესანიშნავი გახლდათ და მიუხედავად გადატვირთული მოძრაობისა – ორ საათში, ზუსტად საღამოს ოთხ საათზე მე და საელჩოს კულტურის ატაშემ აკირო კუროსავას საგანგებოდ მოწვობილი საცხორებლის კარზე ხარი დავერეკეთ.

მანამდე იაპონიის საბჭოთა საელჩოში საკმაოდ დატვირთული "ლიბეტი" ჩამიტარეს სტუმარ-მასპინძლობის იაპონურ ტრადიციებზე და იაპონიაში ქვეყნის ზოგიერთ წესზე. კერძოდ – მისაღმების რიტუალზე და სხვა ყოფით წერილმანებზე, რასაც ტრადიციის ფანატიკური პატივისმცემელი იაპონელები დიდ ყურადღებას აქცევენ.

მასპინძელი პირადად შემოგვეგება და შეგვიძღვა სასტუმრო ოთახში. იყო თბილი მიღება – ფორმალური მოკითხვა და იაპონური შთაბეჭდილებების გახიარება, იყო იაპონური ტრადიციით დამზადებული უგემრიელესი ჩაი, თევზის თხელი ნაჭრებისაგან გამზადებული საოცრად გემრიელი კანაპეები, იყო სპეციალურ თასებში ჩამოსხმული იაპონური თბილი "საკე"...

პრაქტიკულად შეუძლებელია ჩვენი შეხვედრის სრული სტენოგრაფია გადავმოცვალო ჩვენის რამდენიმე გვერდზე, რადგან კუროსავასთან გატარებული 6 საათი ნამდვილად არ აღმოჩნდა საკმარისი იმ თემების "ამოსაწვავად", რომელიც ორივეს გვიანტერესებდა.

მასპინძლისადმი ღრმა პატივისცემის გამოხატვის ნიშნად მას ვუსახსოვრე რეზო ჩხეიძის შემოქმედებაზე ჩემს მიერ შექმნილი სექტანიანი მონოგრაფია "სიმადლე", რომელიც აკირა კუროსავას დიდი ხანი არ გაუშვია ხელიდან და ბუტბუტით იმეორებდა დღესაც: "არიგატო, არიგატო" (გმადლობთ!).

სენსეი აკირა კუროსავამ, რომელიც ღრმად იყო გაცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიათა თემატიკას, მოიყვანა ნაწვევები სახარებისა, სადაც ხაზგასმულია ის, რომ ქრისტიან სიკვდილით დაამარცხა სიკვდილი. "რეზო ჩხეიძემ ომის თემატიკით დაამარცხა ომი, რადგან არ არსებობს ომის წინააღმდეგ შემართული უფრო დიდი პროპაგანდისტი, ვიდრე ჯარისკაცის მამა გიორგი მახარაშვილია". გიორგი მახარაშვილი სამურაია, რომელმაც კარგად იცის ის ომიც კი, რომელშიც მას არასოდეს მიუღია მონაწილეობა – ომი მისი სიცოცხლის ნაწილია, რომელიც წინაპრებისაგან ერთ გენეტიკური კოდის სახით. მახარაშვილს უყვარს ომი, როგორც შთაბეჭდილების წყარო, მაგრამ მას ეზიზღება ომი – როგორც მასობრივი მკვლელობის ფაბრიკა... და საერთოდ, ძნელია შეიკავო ცრემლი, როცა დროისაგან გადაქანცულ მოხუც კაცს უყურებ, რომელიც უმაღლესი შთანთქა დაუნდობელი ომის სტომაქმა... – მითხრა აკირო კუროსავამ.

– გადმოცემით და ლიტერატურული წყაროებიდან ვიცი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომი არ ყოფილა, მაგრამ 5-მილიონიანმა საქართველოს მეორე მსოფლიო ომში თითქმის იმდენივე ადამიანი დაჰკარგა, რაც ოთხ-მოცმილიონიანმა იაპონიამ. ამიტომ გახლავთ ომის თემატიკა ესოდენ მახლობელი ისეთი დიდი კინოხელოვანისადმი, როგორც რეზო ჩხეიძეა. ომისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება იგრძნობა როგორც "ჯარისკაცის მამაში", ასევე "დიდილის ბუჭებში". ძალიან მიჭირს ამ სურათების ერთმანეთისაგან განსხვავება, მიუხედავად მათი თემატიკური არქიტექტონიკის და აქსონომეტრიული სახესხვაობისა, მაგრამ მათ აერთიანებთ ომისადმი ფაბულური დამოკიდებულება, ტრაგედიის გარდაუვალობა, სიკვდილის უშუალოდ მოლოდინი და მისადმი დამცინავი დამოკიდებულება და, ამავე დროს, სიცოცხლისადმი ძლიერი დტოლვა. – ასე ჩამოაყალიბა თავისი აზრი რეზო ჩხეიძის შემოქმედებაზე დიდმა იაპონელმა კინორეჟისორმა.

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)







# ქართულ-იბერიული (იბერიული) მოკლე ლექსიკონი

აბანო – ობონუემ  
 აგება – აკოგაფა  
 აგებულება – ეგა(ძვ.), ანგარია  
 აგებული – აკოგაფირ  
 ადგილმდებარეობა – აკან-რეონ  
 ადგილსამყოფელი – აკანორინალ, მოსა-  
 დიო  
 აზრი – არზ, არსიმა  
 აზროვნება – არსიმაფა  
 ათასი – ვითოშ  
 ამბოხი – ხიან  
 ამპარტავანი – პად/, პადუხე(მდ.), ყადინა,  
 ყადინახე(მდ.) კუზუბა, კუზუბახე(მდ.)  
 ამპარტავნება – პადუობა, ყადინ, კუზუბო-  
 ბა  
 აორთქლება – გენქირაფა  
 აორთქლებული – გენქირაფირ  
 ბავშვი – ბა(ძვ.), ბადანა  
 ბალი – ბულ (ძვ.)  
 ბოდიში – ამან, ბოდიშ  
 განვითარება – გომურსაფა, გადამათება  
 განვითარებული – გომურსაფირ, გომურ-  
 საფირიხე(მდ.), გადამათებურ, გადამათე-  
 ბურისხე(მდ.)  
 გართობა – ართუაფა  
 გასაყურებელი – ოჟურებელ  
 გაყვლეფა – ლამბარუა  
 გაყვლეფილი – ლამბარელ  
 გაჭირვება – ორთოფილარა, გაჭირება  
 გაჭირვებული – ორთოფილე, ორთოფილ-  
 ხე(მდ.) გაჭირებულ, გაჭირებულისხე(მდ.)  
 გუნება-განწყობა – ხანთა, გუნა  
 გუშაგი – შანკო  
 დამოუკიდებელი – მუშოთ, მუშოთიხე(მდ.)  
 დამოუკიდებლობა – მუშონ  
 დამსახურება – ინალიტ (ინალიშ თი-  
 ინალიტ)  
 დამსახურებული – ინალიტერ, ინალი-  
 ტერისხე (მდ.)  
 დამსვენებელი – სვენჯ, სვენჯერისხე  
 (მდ.ძვ.) ესვენჯერ, ესვენჯერისხე(მდ.)  
 დასვენება – სვენჯა(ძვ.) მოსვენჯა, დოს-  
 ვანჯაფა(მიცვალებილის)  
 დასვენებული – სვენჯირ, სვენჯერისხე(მდ.),  
 მოსვენჯირ, მოსვენჯირისხე(მდ.) დოსვენ-  
 ჯაფირ(მიცვალებული)  
 დასუფთავება – გოქვარქვაშუა, და-  
 სუფთება

დასუფთავებული – გოქვარქვაშელ, და-  
 სუფთებულ  
 დაქორწინება – აკოწორუა  
 დაქორწინებული – აკოწორილ, აკოწო-  
 რილისხე(მდ.)  
 დედამიწა – გეა(ძვ.) დიადისა, დე-  
 დონერჩ  
 დიდება – ბერეხა  
 დიდებული – ბერეხ, ბერეხე(მდ.)  
 დიდსულოვანი – შურბერეხ, შურბერეხე  
 (მდ.)  
 დიდსულოვნება – შურბერეხა(ძვ.)  
 შურბერეხობა (შეად. კუნხა-კუნხობა)  
 ერთეული – ართან  
 ერთიანობა – ართა, ართობა  
 ვარსკლავთმრიცხველი – მირცხულა, მირ-  
 ცხულახე(მდ.)  
 ვარსკლავთმრიცხველობა – მირცხულარა  
 ვაშა! – ამარჯა!  
 ვაშლი – უშკურ (მც.) (ოშინე – სახსო-  
 ვარი, ვერაგი-ანაჯა, ანაჯახე(მდ.)  
 ვერაგობა – ანაჯობა  
 ვინაობა – მირემურ  
 ზეადმატება – ედორია  
 ზედაშე – ბენდვინ  
 ზეთისხილი – ელია(მც.)  
 ზრდილობა – რდილარა  
 თავი – დუდ  
 თავისუფალი – შვეონიტ (მამრ.), შვეონიხე  
 (მდ. ძვ.) დუდშულე, დუდშულიხე(მდ.)  
 თავისუფლება – შვეონ(ძვ.), დუდშულობა,  
 აღორბა (შეება-შეობილდა-სეობილდა რუს.  
 შუენერია-სუეერენული ლათ.)  
 თუხთუხი – გვარგვალ  
 იატაკი – გესვარონ(ლაზ.), რჩელ  
 იერიში – იშხანუა  
 იმედი – მენდ  
 კეთილი – კეთირ, კეთირისხე(მდ.)  
 კეთილსინდისიერება – ჩეჟიერა(ძვ.) ჩე-  
 ჟიერობა  
 კეთილსინდისიერი – ჩეჟიერ,  
 ჩეჟიერისხე(მდ.)  
 კეთილშობილება – კეთხერა(ძვ.), კეთხე-  
 რობა  
 კეთილშობილი – კეთხერ, კეთხერისხე  
 (მდ.)  
 კომბოსტო – ლუხუ(მც.)  
 კუთვნილი – თი, თია, ორთია

კურდღელი – ცხვიტორ, ცხვიტორისხე(ცხ.)  
 ლოცვა – კურთხევა – ხემა-ბენუა  
 ლტოლვა – რტენჯა(ძვ.), ნტუაფ  
 ლტოლვილი – რტენჯე, რტენჯიხე(მდ.)  
 ნტუაფირ, ნტუაფირისხე(მდ.)  
 მადანი – ოფაზურ, ოქროპალურ(ოქროს)  
 მავედრებელი – ზნახუ, ზნახუხე(მდ.)  
 მარანი – ოჭინახუნჯე  
 მეგელი – გერ, გერისხე(მდ.)  
 მეფუტკრე – სკალონიტ, სკალონიხე(მდ.)  
 მეფუტკრეობა – სკალონიტა(ძვ.) მესკალ-  
 ნეობა  
 მკაცრი – კომეხ, კომეხე(მდ.)  
 მწერალი – ჭარუტ(მამრ.), ჭარუხე(მდ.)  
 (შეად. მაჭკადალი-ჭკადლე, მაჭარალი-ჭარუ)  
 ნათელი – ნოთერ, ნოთე  
 ნელსაცხებელი – ოსველაფარ  
 ოცნება – ოჩნა, ოშნა ზმონერ  
 პატივმოყვარე – პატიშმოყოროფე,  
 პატიშმოყოროფიხე(მდ.)  
 პატივმოყვარეობა – პატიშმოყოროფეობა  
 ჟოლო – ხეამფა(მც.)  
 რაინდი – აიარ  
 რაობა – მურემურ  
 საგანი – მეკონ  
 საგანძური – სკიბან  
 საზარელი – მეშხან  
 საკუთრება – თიონ  
 სამაგალითო – მირიკ  
 სამეგრელო – მარგალონა, ომარგალე,  
 სამარგალო  
 სამსახური-ინალეა(ძვ.) ოინალე  
 საფრანგეთი – ფრანკია  
 სილამაზე – სკეამა  
 სიყვარული – ხორონ(ძვ.) ყოროფა (ხა-  
 ხალა-შობა, ხა-ხორონ-ხოროფა-ყოროფა;  
 ხა-სიხარული-სიხარული-სიყვარული.)  
 უმეტესობა – უმეტაშობა  
 ურთიერთობა – ათურთ  
 უძრავობა – ურთუობა  
 ფასი – ძივთ, ფას  
 დვთისმობელი – ხუტერონხუ(მდ.), დო-  
 რონთიშ დიდა  
 ღრმული – ტობურ  
 ყავისფერი – ბურნატ(ძვ.), ბურნათ  
 ყვავილი – პეულ, პირ(ხის)  
 ყრმა – ლულუბერ

ყურადღება – რჩილოთ, თოლყუჯ  
 შადრევანი – ჩაბარკონ  
 შავარდენი – შრიდორ (ფრ.)  
 შეყოყმანება – გოკილინაფა  
 შეყოყმანებული – გოკილინაფირ, გოკ-  
 ილინაფირისხე (მდ.)  
 ჩეჟულება – რჩქანა  
 ჩეჟულებრივი – რჩქანერ  
 ჩანჩქერი – ჩაბარუხ(დიდი, ზოგ.),  
 ჩხაია(წერილი, პატარა), წყარგიმალაფუ.  
 ცხოველი – ხოუ(ძვ.), ჩხორალ  
 ცხოვრება – რინა, ცხორება  
 ძალაუფლება – გორდა  
 ძეგლი – ნტკერ  
 ძვირფასი – აიაშდარ, აიაშდარიხე(მდ.)  
 ძვირფასეულიობა – ბუდუშონეფ  
 წაბილწვა – იკანმოსუა  
 წარმატება – წომოძინა, ძინა  
 წყრთა – ტრენაფ(ძვ.), ჭვართუა (შეად.  
 ტარ-ძარ-ძალ; ტარ-ტროა-ტროვა-ტრონ-  
 ტრედ-ტრენაფ; ტარ-ტარიელ)  
 ჭერ – რჭერ, მითარენჯ  
 ჭანჭიკი – წკიწკახ  
 ხარბი – ჯარაბად, ჯარაბადიხე (მდ.)  
 აჯამ, აჯამიხე(მდ.)  
 ხელოვნება – ხელონა, ხეღვალიერა  
 ხელოვნებათმცოდნე – ხელონარჩქინუ,  
 ხელონარჩქინუხე(მდ.)  
 ხელოვნებათმცოდნეობა – ხელონარჩქი-  
 ნა  
 ხევენა-კოცნა – ღურჟოლ  
 ჯგუფი – ტრედ, გრუა  
 ჯგრო – გვართა  
 ჯვარი – ქიან, ჯვარ  
 ჰაერგაუმტარი – ჰაეაუმშულ  
 ჰაერგაუმტარობა – ჰაეაუმშულობა  
 ჰორიზონტი – ატა, ჰორიზონტ  
 ქართულ-იბერიული (მეგრული) ლექსიკონში  
 გამოყენებულია ალიო ქობლას, მამანტი  
 ძაძამის, მურთაზ ჯანჯღავას, გიორგი სახ-  
 ოკიას, შავდგო ხოშტარას, გივი ელიაგასა  
 და ოთარ ქაჯაიას მიერ გამოყენებული  
 კოლხურ-იბერიული სიტყვიერების  
 საგანძურები.  
 მალხაზ-ლაზარე ბრიბოლია

# პროფესორ ბრიბოლ სვიტიას განხილვა

ერთ წელზე მეტი გავიდა მის შემდეგ, მაგრამ ქვეყნის სამხარო დატოვა და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა სახიკადლო მამულიშვილმა, ჭეშმარიტმა პიროვნებამ, ჩვენთვის უსაყვარლესმა ადამიანმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, სუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორმა გრიგოლ ხვიციანი. მან მთელი თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი განვლო მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის, პრინციპული ბრძოლისა და წესიერი ცხოვრების სულისკვეთებით.

ბატონ გრიგოლ ხვიციანს ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია თუ როგორ უნდა ემსახურო ხალხს, რისი ერთგულიც დარჩა სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ადამიანი ერთხელ კვდება, მაგრამ მნიშვნელობა აქვს როგორ იცხოვრებდნენ. სიკვდილი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ადამიანის ღირსებას, ბატონ გრიგოლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სამაგალითო ისტორია აქვს.

ბატონმა გრიგოლმა უამრავი დიდებული საქმის გაკეთება მოასწრო თავის სიცოცხლის მანძილზე. მან მთელი ცხოვრება, ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული, დაუღალავ შრომაში განვლო და ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებით, ენერჯით, შრომისუნარიან, ცხოვრებისეული დატვირთვით. სიამაყით ვიგონებთ გულსხმიერ პიროვნებას, გარკვეული საპატიო რეგალიების მატარებელს, ჩვენთვის კი მრავალმხრივ ნიჭიერ, ხალისიან, სიყვარულით სავსე ერთგულ კოლეგასა და მეგობარს. ის იყო მაღალი მორალისა და ზნეობის ადამიანი, რომელიც ამ ქვეყნად სიკეთედ იყო მოვლენილი, ვინც კი ამ წერილს წაიკითხავს ბევრს მოაგონდება მისი სიტბო, სიყვარული, ერთგულება, ყურადღე-  
 ბა და თანადგობა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონი გრიგოლი სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. იმ პერიოდში

ქვეყანა დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა კვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადებას. იგი ხდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, იქვე იცავს საკანდიდატო დისერტაციას და რჩება სამუშაოდ იმავე ინსტიტუტში, შემდგომ ბატონი გრიგოლი გადადის სამუშაოდ **ოსუს** გეოფიზიკის კათედრაზე, სადაც ირჩევენ დოცენტის თანამდებობაზე.

პროფესორ გრიგოლ ხვიციანს მთელი ცხოვრების შემოქმედების მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს სამეგრელოს რეგიონში პირველი უმაღლესი სასწავლებლის – სუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დაფუძნება, რომლის უცვლელი რექტორიც გარდაცვალებამდე იყო. იგი გახლდათ ისეთი პიროვნება, რომელსაც ერთიანად ჰქონდა გათვალისწინებული სამაგალი, საქვეყნო ინტერესები, ბუნებისაგან უხვად იყო დაჯილდოებული დიდსულოვნებით, სათნოებობა და გულმოდგინებით, ადამიანობის განსაკუთრებული ხიბლითა და შარავანდებით, ხელმძღვანელობა, ორგანიზატორის, პედაგოგის, მეცნიერისა და მეკლავარის უბადლო ნიჭითა და ქარაზმით.

პროფესორ გ. ხვიციანს უზომოდ უყვარდა ახალგაზრდობა, ყოველწლიურად ცდილობდა მათ ბედნიერ მომავალზე, დიდი სული სწავლაზე და პირველ რიგში ადამიანად ჩამოყალიბებაზე, თითქმის ყველა თანამშრომლისა და სტუდენტის გაჭირვება და სიხარული იცოდა, ესმოდა მათი. ვინ მოთვლის რამდენი ახალგაზრდა დაუწყებია ცხოვრების გზაზე, დახმარებია უმაღლესი განათლების მიღებაში.

დიდი ილია ამბობდა – „**კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო**“. ბატონ გრიგოლის აქაც და იქაც ქართველის სახელი დარჩა და წააყვია, ამ გონიერმა და საქმიანმა ადამიანმა თავის ცხოვრების გარკვეული ნაწილი სამეგრელოს რეგიონში უმაღლესი

განათლების ფეხზე დაყენებას და მის განვითარებას შეაღწა.

წარმოიგონებოდა კოლონიალური შრომა, თავდადება, რწმენა, შემართება, ნერვების დაძაბვა და სამშობლოს სიყვარული სჭირდება ადამიანს, რომ წამოწყებული საქმე ღირსეულად დააგვირგვინოს. შეიძლება ითქვას, ცხოვრების გზაზე ბატონ გრიგოლს ერთი დღეც არ გაუტარებია უქმად. მან თავისი საქმიანობის ყველა საფეხური განვლო, დაწყებული რიგითიდან, დამთავრებული უნივერსიტეტის რექტორობამდე. მისი მხნეობა, შრომის უნარი ყოველთვის აღფრთოვანებდა იქვეყნად.

ბატონი გრიგოლი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა, ვინც სიცოცხლეში ერთხელ კვდება, ხსოვნა კი უკვდავია, იგი უხვად იმდობდა მაგალითს იმისა, თუ როგორ უნდა იყოს ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა, ბაბუა, მზრუნველი, ღირსეული მეგობარი, მეზობელი, ნათესავი. სუფთა გზა დაუტოვა შთამომავლობას. მომავალში ამ გზაზე ივლიან მისი შვილები, სიძეები, შვილიშვილები, მათი შვილები, ცხოვრება გრძელდება.

უბადლო ნიჭით დაჯილდოებული, უზომოდ კეთილი და პუმანური, საქვეყნო საქმის უზნაურად მკეთებელი – ასეთად შემოჩნა იგი თავის მადლიერ თანამემამულეთა ხსოვნას.

ბატონ გრიგოლი იყო პიროვნება, რომელსაც უყვარდა სამხარო, ქვეყანა მშობლიური ქალაქი, იყო თავის ეპოქის ღირსეული შვილი და ღირსეულად ატარა ის მძიმე ტვირთი, რომელიც მას განეგებამ დააკისრა. მისმა გარდაცვალებამ გული დასწყვიტა მთელ სუგდიდს, სამეგრელოს, სადაც მას იცნობდნენ გავლენიან და საქმიან ადამიანად. სუგდიდელები მუდამ გაიხსენებენ მის საქმიანობას და კაცურკაცობას. ის ერთერთი გამოჩენილი პიროვნება იყო სუგდიდელებისათვის, რომელმაც დაიმსახურა ასეთი უღვევი სიყვარული და პატივისცემა.

დღეს ყოველი ჩვენთგანისათვის ძნელია

წარსულში მოისხნო ისეთი მაღალი სულისა და თავისებური ხიბლით გამორჩეული ადამიანი, როგორც ბატონი გრიგოლი იყო. მას ერთი დღეც არ უცხოვრია უქმად, მისნაირები კი არ კვდებიან, მხოლოდ გარდაცვლებიან.

რომელიც სიბრძნე – გარდაცვალებული ან კარგი უნდა თქვას, არაფერი – ეს გამოხატულება უფრულდება ბატონ გრიგოლ ხვიციანს ხსენებისას. ყველა ადამიანი თავისებურად ერთადერთი და განუყოფელია, მაგრამ ის არა ორდინალური, მრავალმხრივი ნიჭით და მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება იყო. ამას ერთხმად აღიარებდა მის გარშემო მყოფთაგან ყველა – იქნებოდა ის მისი ახლო მეგობარი, კოლეგა თუ უბრალო ნაცნობი.

დაახლოებით ერთი თვის წინ ბატონ გრიგოლის დაბადების დღე იყო. მან ცხოვრების გრძელ და ძნელ გზაზე ისეთი მძლავრი ხნული გაავლო, საიდანაც აღმოცენებულმა სიკეთემ და სათნოებამ საყოველთაო სიყვარული მოუტანა მას. მუდამ მოეძებნებოდა დრო და საშუალება გვერდში დადგომოდა მეგობრებს, კოლეგებს, ახლობლებს, სრულიად გამოუვალ სიტუაციაში ერთი წუთითაც არ კარგავდა იმედს და სხვებსაც აუცებდა რწმენით.

დღეს ჩვენ გავისხენთ თავაზიანი, მტკიცე სულის ადამიანი, მეცნიერი, პედაგოგი, უღალატო მეგობარი, რომელიც დააკლდა ოჯახს, ქვეყანას, დარწმუნებული ვართ, რომ მისი მოღვაწეობა ნიშნულს იქნება სხვათათვის და მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს მასთან ურთიერთობას ნაზიარები ადამიანების გულში.

**თამაზ ცანაშა,**  
 ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის რეგიონის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი





# პრაქტიკა

პრეზიდენტის რედაქციის მუშაობა  
კარგი უღლისცალზე  
(გარდაცვლილ მუშაზე)

## მაგიური წრე

შუალედისას, - გვიამბობს გერმანული თქმულება, - ბროკნის მთაზე, შვედების ტყეში დოქტორი ფაუსტუსი შევიდა, თავის გარშემო მაგიური წრე შემოხაზა და... ჯოჯოხეთის სულებს უხმო.

ეს, მართლაც, მაგიური წრე იყო, ყველაფერი რომ უახლოვდება, მაგრამ არაფერი შორდება. ვერ დაადგინე მის ტოპოგრაფიას, არც გრძელი აქვს, არც განული, ე. ი. კონკრეტული ადგილი, თუმცა ყველაგანაა, რადგან უახლოვდება ყველაფერი და შორდება არაფერი.

და რადგან ყველაგანაა, ტოპონიმებს, - შვედების, კოჯრის თუ ისილას ტყეს, - არსებითი მნიშვნელობა არც ეძლევა; არც კონკრეტულ პიროვნებებს, არც მათ სახელებს აქვთ რაიმე მნიშვნელობა.

კოსმოპოლიტ ფაუსტუსს კოორდინატის ნებისმიერ წერტილში შეუძლია მაგიური წრის შემოხაზვა და ჯოჯოხეთის სულების გამოხმობა, შეიძლება ღამის ვოლოთა მორღვევა და იქიდან დასჯილი ტიტანების ან შოლის თვალშეუღებამ წვედიადიდან სატანიც ამოყვანა, თავისი აბაღონთა ახაბით.

როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი არ მორჩილებს არც სივრცეს და არც დროს. ასე რომ მაგიური წრე საქართველოშიც შემოიხაზა; დოქტორ ფაუსტუსმა ჩვენშიაც უხმო მეფისტოფელს, გამოიძახა ჯოჯოხეთის სულები და გამართა ვალპურგის დამე, რომელზეც მოიწვია ჯადოქრები, კუდიანები, ყოველი აესული და... ისინიც დაუხანებლად მოფრინდნენ, მოფრინდნენ ცოცხებზე, ფიქლებზე, თხებსა თუ ღორებზე ამხედრებულნი და გამაგრებულნი ისტერიული-მისტერიული როკვა...

ეს იყო დეკემბერი, ქრისტეშობის წინა დღე, - დიდი დღე... მას მერე ჩვენში არც გათენებულა, არც ქრისტეშობა და აღარც ქართული გაზაფხული დამდგარა...

## ფული ზოგჯერ ჯოჯოხეთისაც ვერ ანათებს

1992 წლის 6 იანვარი. სოხუმის აეროპორტი.

გესტერ ქარდავა და ვალერი ქობალია, - ბიზნესმენები, - სოხუმის აეროპორტის უფროსის, ზაურ ხაინდრაგას კაბინეტიდან გამოდიან და, ლუდოვიკოსგან გამოსულ სულხან-საბასაიეთი, რაც შეიტანეს ის გამოიტანეს - მილიონმა დოლარმა ჯოჯოხეთი ვერ გაასინათლა, - ხაინდრაგამ საქმისნებს თვითმფრინავი არ მიაქირავა. იცოდა, ამ თვითმფრინავით სამშობლოდან განდევნილი გამსახურდია რომ უნდა ჩამოყვანათ.

- გაგიჟდით?! სიკვდილს ეთამაშებით?! - ხაინდრაგას კუბოდან ამოღებული კაცის ელფერი ედო სახეზე. - თქვენთან ერთად მეც ჩამოვიდებოდი და ტყავს გამამარობენ!

არც გაემტყუნება აეროპორტის უფროსს. ისიც ადამიანია და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. თუნდაც გადააბოქოს სიკვდილის შიშის ზღვარს, მაგრამ ოჯახი? რა უფოს ოჯახს? ახლობლებს? ოჰ, არა! მიუხედავად პრეზიდენტის და ამ ხალხის პატივისცემისა, თვითმფრინავს ვერ მისცემს.

ქარდავა და ქობალია დაბნეულნი არიან, არ იციან რა გზას დაადგენ. მანხიბის წრეს არც შეხასხველი უჩანს, არც გამოხასხველი.

- იქნებ წურწუშია გენახათ, პა? - ურჩევს ხაინდრაგა სტუმრებულთ. - თთაკელით ჭკუამახვილია და ცბიერი... იქნებ მან...

- რომელი წურწუშია?  
- რომელი და სერგო, ილარიონოვიჩი... ვარჩელი...

- სერგო!.. სერგო წურწუშია!.. მერე და დაგვთანხმდება?!

- რა ვიცი... თქვენ თქვენი სცადეთ და... - ჯანდაბას!.. სხვა გზა მაინც არა გვაქვს! - თქვა ქობალიამ და ქარდავას ხელი გამოსდო.

## ჭკუამახვილი კაცი

ქობალია აქვს თავისი წესრიგი. რომ არა ეს წესრიგი, არა თუ ქობალია ან ქარდავა, თვით მეფისტოფელიც კი ვერ მიაგნებდა წურწუშიას აღორდალებულ სოხუმში. თითქმის მთელი ქალაქი შემოიბრინეს, ორჯერ სოფელ ვარჩეში ჩააკითხეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მაიორ წურწუშიას ალი-კვალს ვერ მიაგნეს. ყველაგან ერთსა და იმავე პასუხს იღებდნენ: - "ახლანხანს აქ იყო!" - მაგრამ ეს "ახლანხანს", მუდამ წარსულად ქვეულიყო. ყველა გზა მასთან მიდიოდა კიდევ და არც მიდიოდა.

ბიზნესმენთა გეგმა, ფაქტობრივად, წყალს მიჰქონდა. იმედი წურწუშიას ნახვისა, მარტის თოვლივით ადნებდათ ხელში. მისი უდიდესობა დროც მარტის ამინდით გახლდათ - ყოველ წუთს ყველაფერი იცვლებოდა.

დროც და ადამიანებიც უმისამართოდ მიედინებოდნენ!

ასეთ ვითარებაში წურწუშიას მოხელეთა იგივე იყო, ტრიად მინდორზე ქარს გამოკიდებოდი დასაჭერად. კვალს აიღებდნენ, ფხვნილებს ჩაუდგებოდნენ, მივიდოდნენ და იქ მხოლოდ ერთი პასუხი ხვდებოდათ: "სწორედ, აქ იყო ახლანხანს" და მორჩა, ამით მიაგნებოდა ყველაფერი.

მიუხედავად ამისა, ხელმოცარული დევნა მთლად უნაყოფოც არ ჩანდა. მართალია, სერგო ვეღარ გამოიჭირებს, მაგრამ მიუღმა ქალაქში შეიტყო მას რომ ქარდავა და ქობალია დაქვებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, ეს ამბავი თავად იმ ჭკუამახვილი კაცის ყურამღვე უეჭველ მიაღწევდა. მერე კი თავად სერგოზე იყო დამოკიდებული, შედგებოდა თუ არა შესვედრა.

და... აი, ისიც! თვითონ მოადგათ საკუთარი ფეხით.

ქობალია და ქარდავა თვალებს არ უჯერებდნენ: ნამდვილად სერგოა თუ გველანდებაო.

- რაო, მოჩვენება გეგონეთ, არა?! - წურწუშია მრავალმნიშვნელოვნად იმდიოდა.

- ოჰ, არა, ბატონო სერგო, ეგ როგორ იფიქრეთ?

- კარგით!.. დროზე მითხარით სათქმელი. უნდა წავიდეთ.

- იმეტიმ გეძებდით, რომ...

- ვიცი, რისთვისაც გეძებდით! - სერგომ სიტყვა გააწვევინა ქარდავას. - თქვენ ის მითხარით, როდისთვის გინდათ თვითმფრინავი!

- თუნდაც ხვალე!

- კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თავად პრეზიდენტი თუა საქმის კურსში?!

- რა თქმა უნდა, ჩემო სერგო, აბა როგორ? გველოდება!

- მაგაზე არ გეკითხებით. ის მაინტერესებს, თუ იცის პრეზიდენტმა რა ჯოჯოხეთი ტრიადებს ჩვენს თავს? იცის კი, რა ელის აქ? გიფიქრათ ამაზე?

- ყველაფერი გათვლილი და აწონილ-დაწონილი გვაქვს, ჩემო ბატონო! - ხსარტად უპასუხა ქარდავამ.

- ეშმაკმა წავიდეთ!.. პასუხი თქვენ მოგეთხოვება!

- რასაკვირველია!.. ყველაფერს ჩვენს თავზე ვიდებთ! - თქვა ქობალიამ.

- ხვალ თერთმეტზე აეროპორტში გელოდებით.

წურწუშია გამოემშვიდობა ბიზნესმენებს და მანქანაში ჩაჯდა.

## ზაურ ბელია

ბიზნესმენებიდან წამოსული წურწუშია პირდაპირ ყორასში, დისშვილებთან, ვახტანგ და მიტუმა ნაჭყებებთან ჩავიდა. ბიზნესმენ მძებს კოოპერატივი ჰქონდათ. სერგომ დისშვილებს საქმის ვითარება გააცნო. მძები მიხვდნენ რა სარისკო საქმეს სთავაზობდათ ბიძამისი, მაგრამ მათზე ამაგდარ კაცს, უარი ვერ შეკადრეს. დახმარება აღუთქვეს.

საქმე თითქმის აწყო, მაგრამ აეროპორტში ვითარება ჩინში შევიდა, - მფრინავთაგან რისკე წასვლა არავის უნდოდა.

ისევ წურწუშია დატრიალდა. არც აცია, არც აცხელა და საქართველოში ყველაზე ცნობილ და გამოცდილ მფრინავს ზაურ ბელიას მიაღგა.

1992 წლის დეკემბრის ერთ "ჩვეულებრივ" დღეს სოხუმის აეროპორტიდან, საიდუმლოდ, თვითმფრინავი აფრინდა და სომხეთისკენ აიღო გეზი.

## შეცვლილი კურსი

თვითმფრინავი მშვიდობით დაეშვა სომეხთა მიწაზე. პრეზიდენტთან მცირე შეთათობირების შემდეგ გადაწყდა, მეორე დღეს სენაკში გადმოფრენილიყვნენ. ყველაფერი მოწყობილიყვნენ ჩანდა, მაგრამ...

მაგიური წრეში შემოსვლაც ისეთივე საშიში იყო, როგორც გასვლა. იმ დროის ხელისუფლებამ განდევნილი პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნება აპოკალიფსად აღიქვა. გადაწყვიტეს, თვითმფრინავი, როგორც კი საქართველოს საჰაერო აკვადროში შემოვიდოდა, პაერშივე აეფეთქებინათ...

თვითმფრინავი საქართველოს საჰაერო სივრცეში იყო, როცა ბელიამ სოხუმის აეროპორტის სადისპეტჩეროდან საგანგაშო ცნობა მიიღო. პრეზიდენტის ბორტი იძულებული შეიქნა გასულიყო საქართველოს სივრციდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, სენაკის აეროპორტში თვითმფრინავს დაჯდომამდე ააფეთქებდნენ.

გამოცდილმა ავიანავიგატორმა ეს ინფორმაცია ბორტს შეატყობინა. მოკლე თათობის შემდეგ გადაწყვიტეს პირვანდელი კურსი შეეცვალათ და გეზი გროზნოსკენ აიღო...

პრეზიდენტი გროზნოში აღმონდა...

## ბოლოთქმა

ბელისწერას ადამიანები ვერ წყვეტენ. ბელისწერის წინაშე თვით ღმერთებიც კი ძრწან. მაიორმა წურწუშიამ ყველაფერი იღონა პრეზიდენტის სამშობლოში დასაბრუნებლად, მაგრამ ამოდ...

ამჟამად, სერგო წურწუშია მთელ ამ ამბებს თბილისში იხსენებს...

პრეზიდენტი დიდი ხანია მოკლეს...

გადამდგარი გენერალი მაინც წარსულით ცოცხლობს. ვერ ისვენებს. ისეთი შეგრძობა აქვს, თითქოს, ბოლომდე ვერ მიაგო საკადრისი პატივი ბედკრული საქართველოს ბედკრულ პრეზიდენტს. შეყარა თანამოსაზრენი და წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერთან - თბილისში, პარლამენტის შენობის წინ დაედათ ზვიად გამსახურდიას ძეგლი, რომელიც სამშობლოს შეწირული პრეზიდენტის პატივის მიგებისა და ქართველთა საყოველთაო სინანულის ნიშან-სიმბოლოა იქნებოდა.

ღმერთმა ქნას, მაგრამ დედაქალაქმა, რომელმაც დიდი დავითი გააძევა თავის გულიდან, არა მგონია ეს საქმე დასრულოს!

ისე კი... იმედი ბოლოს კვდება...

ალექო ბაგვალია,  
ზურაბ ძიბალია

## "ყილოშტყვაგაგა" და მებრული ენის გადაჩენის აუცილებლობა...

მსოფლიო ლიტერატურის შედევრი "ფეფისტყოსანი" მრავალ ენაზე თარგმნილი... ცხადია, არაფერი დაშავდებოდა ის თარგმნილიყო უძველეს, უძლიერეს და უმშვენიერეს მებრულ ენაზეც და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მართლაც არსებობს ამ ენაზე შესრულებული მისი რამდენიმე ვარიანტიც... ცნობილია, რომ ის მებრულ ენაზე თარგმნილი აქვს სულკურთხეულ კაკა ყვინიას (ჩემდა სამწუხაროდ მხოლოდ ნაწვევები მაქვს წაკითხული). გენიალური რუსთაველის ეს უკვდავი ნაწარმოები ასევე თარგმნილი აქვს ლეგენდარულ რელიგიურ მოღვაწეს, მეფე ბენედიქტეს (ბეკითი ჯალაღონისა) და ის გავრცელებული იმეგობრება ბატონ გიორგი სიჭინავას რედაქტორობით გამოშვებულ პურნალ "აია"-ში... რაც შეეხება ცხონებული გეგევან შანავას მიერ თარგმნილ "ფეფისტყოსანს" - ის უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქვეული... შანავასეული "ყილოშტყვაგა" წაკითხული კი მაქვს, მაგრამ სამწუხაროდ ეს გამოცემა ამჟამად არ გამაჩნია, რადგან ჩემმა მეგობარმა ლახუბმა მითხრეს მათთვის მეჩვენებინა ის და ცხადია მეც ვაჩუქე... ახლა, რატომ ვყვები ამას ყველაფერს: საქმეც იმაშია რომ, რატომღაც მაგანნი დანაშაულად გვითვლიან ჩვენ, მებრელებს - მშობლიურ ენაზე წერას, კითხვას და ისეთი პირი უჩანს, მალე საერთოდ აგვიკრძალებენ მებრულ ენაზე ხმის ამოღებასაც კი! ყოველ შემთხვევაში ამის გარკვეული ტენდენცია უკვე არსებობს, სამწუხაროდ, იქნება ისეთი ტრაგიკული რეალობა რომ, უდიდესი ალბათობით რამდენიმე ათეულ წელიწადში მებრული ენა საერთოდ გაქრება, უფრო სწორედ, ის მხოლოდ ლექსიკონებში დარჩება და მისით ალბათ ოდენ ლინგვისტიკები თუ დაინტერესდებიან სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ან უბრალოდ მეცნიერული ჭია რომ გაახარონ! ასე რომ, დრო არ ითმენს! საჭიროა აუცილებელი ღონისძიებების გატარება მის დაცვა-გადასარჩენად! მებრულ ენას კი, გადაარჩენს წერა, კითხვა და ლაპარაკი. ამიტომაც, მებრულ ენაზე, დიახაც, უნდა იწერებოდეს ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოებები! მებრულ ენაზე, დიახაც, უნდა ითარგმნებოდეს მსოფლიო და მათ შორის ქართული ლიტერატურული შედევრები! დიახ, ამ ენას უნდა მიეცეს სრულფასოვანი არსებობის და განვითარების შესაძლებლობა! დიახ, ბოლო უნდა მოეღოს მებრული ენის მიმართ სამარცხვინო რეპრესიულ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას! დიახ, აუცილებელია ამ ენის გაქრობისაგან გადასარჩენად შეიქმნას საკანონმდებლო გარანტიებიც! დიახ, ამ ენის გადასარჩენად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სტრუქტურული მექანიზმების ჩამოყალიბებაც! დიახ, სასწრაფოდ, დროულად ჩამოსაყალიბებელია ყოვლისმომცველი პროგრამაც, სადაც უნდა ჩაიდოს ის ყველაფერი, რომლის პრაქტიკულად განხორციელებაც შეუძლებელია გახდის გაქრობის ზღვარზე მყოფი მებრული ენის გადასარჩენა-განვითარებას! აქვე, მხურს დავამატო: როცა ვლაპარაკობ მებრულ ენასთან მიმართებაში, იქ აუცილებლად ვვლიხსნობ ლახურსაც! დიახ, მებრულ-ლახური ენა გადასარჩენია და ქართული სახელმწიფო ვალდებულია ამაზე აიღოს პასუხისმგებლობა! ქართული სახელმწიფო ვალდებულია სვანურ ენაზეც აიღოს პასუხისმგებლობა! საზოგადოებრივად ვალდებულია დაფიქრდეს ამაზე, ადეკვატურად შეაფასოს არსებული რეალობა და არა ფსევდოპატრიოტული, არამედ, ნამდვილპატრიოტული და ზოგადდროვნული პორიზონტიდან შეხედოს პრობლემას!

კოლხურ-იბერიული ენები გადასარჩენია! რაც უფრო მალე მიხვდება და გაირჯება ამაზე ხელისუფლება-მთავრობა, ასევე საზოგადოებრივად - მით უკეთეს იქნება ქვეყნისათვის! მხოლოდ ასე და მხოლოდ ასეთი მამულიშვილური სულისკვეთებით შეძლებთ ჩვენ ერთიანი ეროვნული სხეულის ურღვევობა-განმტკიცებას!

ზურაბ კვარაცხელია

**ზედაქუ**  
უკვე წასულო, მაგრამ გულში ამოშლელი,  
უშნობისგან ყრუ შნობას როგორ ვუშველო,  
თანაც უშნოდ?  
მარადისობა, ალბათ, შეგვერის მალე მე და შენ,  
ჰოდა, მე იმ დღეს ვადგვრძელებ და ვსვამ ზედაშეს!

## ფიქრები მორკალ მოსვლაზე

უკვე წარისოცა, რაც გემოსა ხორცად, მაინც რჩები ლოცვად აბორგენულ სულს; ნერვები სულ მოცვდა, ვეღარ ვიტან მოცდას, არა, არ წამოცდა, შნთან ყოფნა მსურს! გზა-გზა კითხვა დამსდევს, ვიდრე დავიბადეთ, რაც ვიყავით მანამ, ანდა უფრო ადრე, ის ვიქნებით განა, როცა მოვალთ კვლავ და გამომიწვდი მკლავს? შეწვენიოთა ღვთისა, თუ დაებრუნდით ისევ, რომ ვერ მიცნო მყისვე, ამის ფიქრი მკლავს!

## ბალადა შინეოუსკულ მამაზე

ისე წახველი, რომ აღერსი სევმ არ გადირსა, დედასთან ერთად ხელით მამისა! ვერ გაარკვიე, სად გარიყა მისმა რწმენამა და სად არგუნა ბოლო ძილი ბელის მწერალმა? მამაშვილობით მოგონებოდა მას შემდგმ გენი, დიდხანს ეძებდი, მაგრამ საფლავს ვერ მიაგენი!

შენი სიტყვები ჩემს წინ დღესაც ცრემლებად სცვივა:

„სად დაიდუბა, თავის ტყვია სად გააცივა?“

და რაკი სადღაც მისი ძეგლები დარჩა შიშველი,

დღის საფლავთან დადგი ძეგლი შინეოუსკელის.

...ახლა, როდესაც შენც მათ გვერდით დაიბანაკე,

რომ არ ვიწამო, წარმიტანოს უნდა მიწამა,

რადგანაც დღემდე დამასსომა თავი იმ წამა,

როდესაც ენაზე საკვირველად, ჰო, საკვირველად,

ჩვილობის შემდეგ მამას როგორ შეხვდი პირველად

და სიკვდილის წინ ცოცხალს როგორ ელაპარაკე!

ალექსანდრე შინებელია



დავით ქობალია: დროა ქვეყანა გვიმოს რა ხდება სინაგოგაში "ანაკლია-პორტი" გარშემო!

ეს პუბლიკაცია აღდგომის წინა დღეებში უნდა გამოქვეყნებოდა, მაგრამ ვნების კვირას თავი ავარიდებოდა გულდაამდობრივად მკითხველის გაღიზიანებას. ამასობაში კი დადგა ქაბი, როცა - "თქმა სჯობს არა თქმასა..."

„ანაკლია პორტის“ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული „ხაზარაძე და კონტი ჯგუფის“ და მისი გამომცხადებელი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიშვილისა და ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუშიშვილის, ფულის სამთხოვროდ მუხბულმა მეგრული ფოლკლორის სახალისო ნიმუში გამახსენა, რომლის პერიფრაზსაც სათაურად ვურთავ ამ სტატიას.

შესაბამებოდა იქნებოდა, რაც „ანაკლია პორტის“ მშენებლობის ტენდერში გამარჯვებული გამოცხადდა. სამწუხაროდ, ამ ისტორიულ შემთხვევას ჯეროვანი რეაქცია არ მოჰყოლია, როგორც მთავრობის, ასევე მოსახლეობის მხრიდან, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ ასწლებულის პროექტის „ანაკლია პორტის“ მნიშვნელობა ან არ ესმით ტენდერის გამომცხადებლებს, ან ტენდერში გამარჯვებულის მზადყოფნაში არ არიან დარწმუნებული და საერთო სახალხო უსაფუძვლო აღფრთოვანებას ქრდილობან!

არადა - მოქმედი ხელისუფლებისთვის, კარს მომდგარი არჩევნების წინ უკეთეს ე.წ. „საპარო“ ანუ, თავმოსაწონ შემთხვევას ადამიანი ვერც კი ინატრებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნათლად ჩანს, რომ ვერ არის კარგად საქმე, რის გამოც მხოლოდ რამდენიმე მოკლე ინფორმაციამ გაითქვამა ამ სამი თვის მანძილზე, ზაფხულზე დასაწყისში პორტის მშენებლობის შესახებ, რომ, ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ აშშ-ში - „ანაკლია პორტის პროექტი, წლის საუკეთესო პროექტად აღიარეს!“

პირდაპირ უნდა განვაცხადო - ეს გახლავთ მორიგი ბლევი „ანაკლია პორტთან“ დაკავშირებით და სხვა არაფერი, რადგან, თუ „პროექტზე“ საუბარი, მაშინ „ხაზარაძე და კონტი ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი „პროექტი“ ამ შეფასებას არ იმსახურებს და იგი ანტისახელმწიფოებრივი და ანტი-სახალხო რამდენიმე მიზეზის გამო, რომელსაც მოგვიანებით მივუბრუნდები.

რაც შეეხება, ევროპელთა და ამერიკელთა „აღფრთოვანებას“ - იგი მხოლოდ „ახალი აბრეშუქის გზის ფარგლებში ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეას“ შეიძლება გამოეწვიოს, რომელიც „ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ ნამდვილად არ ეკუთვნის!

ევროპასა და ამერიკაში სამთავრობო დონის ბიზნესურბებში ხაზარაძე-კვირი-

კაშვილ-ქუშიშვილისგან, რომ გაიგეს ამ იდეის არსებობის შესახებ, ეს უფრო მძიმე შემთხვევაა, ვიდრე, უფულო კონსორციუმის ტენდერში გამარჯვება, რადგან, 2013 წლიდან (თავი დაეანებოთ წინა წლებს), იმდენი ითქვა და დაიწერა „ახალი აბრეშუქის გზაზე და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის ანაკლია პორტის მშენებლობაზე“, რომ ჩვენი ქვეყნის უპირველეს და კეთილმოსურნე პარტნიორებს ცოტა ადრე და მეტი უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ!

აქ ცოტა ხნით შეეჩერდეთ და მოკლე განმარტება შევთავაზოთ დაინტერესებულ მკითხველს, თუ რატომ არის საინტერესო და აღფრთოვანების მომგვრელი ანაკლიაში მეგაპორტის მშენებლობის იდეა. თუმცა, იმავე დაინტერესებულ მკითხველს შეიძლება ის უფრო გაუკვირდეს, თუ რამ ალაფრთოვანა ევრო-ამერიკელები, როცა - ახალი აბრეშუქის გზის შემადგენელი „ანაკლია პორტის“ დაფინანსების, მშენებლობის, მისი წარმატებული ფუნქციონირების გარანტი ჩინეთის სახელმწიფო იგნორირებულ იქნა და არ მონაწილეობს საუკუნის, შესაძლოა ათასწლებულის პროექტში!

უსიტყვოდ ვეთანხმები ასე მოფიქრად მკითხველს, როცა წარმოვიდგენ დაშლის პირას მყოფი ევროგაერთიანების და აშშ-ის (რომელსაც ორი ჩემოდანი ტვირთი არ ექნება დღეში ამ გზაზე გასატარებელი), ტაში და ქების სიგელი არაფრის მომტანია ანაკლია პორტის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ „ხაზარაძე და კონტი ჯგუფისთვის“!

ტაში და ქების სიგელი წარსულს ჩაბარდა, საქმისთვის ფულია საჭირო, რასაც ისე ადვილად, როგორც ქართულ სახელმწიფო ჩინოვნიკებს და მათ მიერ ტენდერში „ნაჯიკებ ფავორიტს“ ეგონათ, თურმე არ იძლევიან!

რაც შეეხება ანაკლია პორტის პროექტს, რასაც „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“ სთავაზობს სახელმწიფოს (არაერთგზის, ამომწურავად ვისაუბრეთ და გამოვაქვეყნეთ ამის შესახებ), მხოლოდ რამდენიმე კითხვას დაეკავშირება:

1. რა მიზანს ემსახურება სახელმწიფო, რომელმაც ტენდერში გამარჯვებულისთვის პორტის ანაშენებელი ტერიტორიის უზრუნველყოფა და მომზადება იკისრა, ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობას მიადგა და პორტის მშენებლობას მათი გასახლეობით იწყებს?

2. ცალკე განხილვის თემაა, რას სთავაზობს სახელმწიფო ანაკლიის აბორიგენ

მოსახლეობას მამა-პაპათა ფუძე-კარიდან აყრის სანაცვლოდ? მათი შესყიდვის შემთხვევაში რა თანხაში აისახება იგი, ქუშიშვილიმა რომ „გონივრული“ უწოდა?

3. რატომ მიანიჭა სახელმწიფომ და მოწვეულმა, საკმარის დიდი რაოდენობა უცხოურმა სატენდერო კომისიამ უპირატესობა პროექტს, რომელსაც სამჯერ მეტი, ზღვის ნაპირის საუკეთესო ნაწილი მიაქვს (ვიდრე ტენდერის ფინიშზე წარმოდგენილ ალტერნატიულ პროექტს) და მისი წარმატება საეჭვოა ტენდერში გამომცხადებელი წლიური 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის შესაძლებლობის გასწვდომს?

4. რაც ყველაზე მთავარია, სად არის ფინანსური გარანტიები, რომელიც ტენდერში მონაწილეთა ერთ-ერთ უპირველეს შესარჩევლებად პირობას წარმოადგენდა?! 5. თუ ყველაფერი მზად იქნება ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს, იგივე ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ რატომ დაეკებენ ფულს და ე.წ. „სპონსორებს“ ტენდერში გამარჯვების შემდეგ?

...ამას წინათ, ევროპის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის გამოსვლამ „ბიზნესკონტაქტში“ საბოლოოდ ცვიე წყალი გადაასხა ანაკლია პორტის მშენებლობის დაწყებას ამ ზაფხულს!

მოკლედ, საითაც კი არ მიასკნენ ხაზარაძე-კვირი-კაშვილ-ქუშიშვილი ფულის სამათხოვროდ, ყველა მხრიდან გაწვიმებული დაბრუნდნენ. სამაგიეროდ, სამეგრელოს რეგიონის ხელისუფლებმა სტუმრებებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ჯიუტად არწმუნებენ, რომ - ხაზარაძე ამ ზაფხულს პორტის მშენებლობას დაიწყებს და უმუშევარი არავინ დარჩება. მათი აზრით, ამჟამად მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს და არა, ფულის სამათხოვროდ მუხბული!

რომ იტყვიან - ნეტარ არიან მორწმუნენ!

კაცმა რომ თქვას, მე რატომ უნდა ვიდარდო საქართველოს მთავრობის და მისი რჩეული კომპანიის უფულობა, მაგრამ, რომ წარმოვიდგენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჯოჯოხეთში ჩავარდნილი ჩემი სამშობლოს მდგომარეობას და იმედის ნაპერწკლად განჩინდი ანაკლია პორტის მშენებლობის იმედგაცრუებას, ნათლად ვხედავ - მწარე განკითხვის დღე დადგება, დემოტმანი!

ევროპასა და ამერიკაში ფულის სამათხოვროდ გაგარდნილ კვირიკაშვილ-ქუშიშვილ-ხაზარაძეს მწარედ შეახსენებენ, რომ - ფული, სპონსორი და ქვეყნის სა-

სარგებლო პროექტი ტენდერში გამარჯვებამდე უნდა ჰქონოდათ!

ვილაცას, ევროპიდან მოწვეული, რამდენიმე მილიონ ევროდ ღირებული ტენდერის ექსპერტებიც გაახსენდება - „ღირსეული კანდიდატის“ შერჩევაში „ოფლი რომ ღვარეს“ და მილიონები რომ ჩაიჯობეს!

თუმცა, ცნობილია, რომ ქართველი ხალხი უთავბოლოდ მიმტეველებია... ალბათ ამის იმედი აქვთ სამთავრობო ვადამიღვევად ხელისუფალთ და ბოლოდროინდელი „ყველა ხელისუფლების ქისად“ წოდებულ ხაზარაძეს!

ვაქტივ სახეზეა, კვირიკაშვილ-ქუშიშვილ-ხაზარაძეს ანაკლიაში ლექსი გამოუთქვებს, რომელიც ზუსტად ასახავს მათ ქმედებას:

„ღოუძახი სპონსორებს - არამი დო შარიქას, უსაქმურ ყუდეს რინა ფარას დღას გამიღინას...“

(დაუძახე სპონსორებს - არამი და შარიქას, უსაქმურად სახლში ყოფნა ფულს არასდროს მოიტანს...)

...და ესენიც, ლამის ხუთივე კონტინენტის ღობე-ყორსი მოედნენ!

დემოტმა არ ქნას, ნაადღომევესაც მხოლოდ ქების სიგელებით დაგვიბრუნდეს ზემოთხსენებული „სამი მუშაგებრი“!

თუ ეს ასე მოხდა - მათი სიმღერა დასრულდება, სასიძღვრო კუბლეტები უთუოდ გაიზრდება სათანადო განაჩნეთან ერთად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ იქნება გამოსავალი, ვერანაირი განაჩენი ამ საქმეს ვერ უშველის, რადგან ქვეყნის ეკონომიკური გადარჩენის და „ანაკლია პორტის“ იდეის დაღუპვა მოჰყვება მას, რაც არასოდეს დაგვიბრუნდება!

დავით ქობალია

P.S. „ანაკლია პორტის“ თემასთან დაკავშირებით იხილეთ საინტერესო ლინკი, რომელსაც, როგორც ჩანს, დაინტერესებული პირები საგულდაგულოდ უმაღლავენ მკითხველს: <https://teimurazkarchava.wordpress.com/about/>.

ამ ლინკის ნახვის შემდეგ მკითხველი თვითონვე დარწმუნდება, რომ ის, რასაც სამი თვეა გამწარებული დაეკებს ზემოთხსენებული „სამი მუშაგებრი“, დიდი ხნის წინ იყო მოგვარებული.

თუ რატომ იქნა იგნორირებული ანაკლია პორტის ტენდერის ფინიშზე კონსორციუმ „ანაკლია პორტი და ეკო პარკის“ და მათი მთავარი პარტნიორის „ფაუერჩაინას“ კონსტრუქციული შემოთავაზება, უკონსილტური გამომძიების ფარგლებს სივლდება. თუმცა, ამ საკითხით შესაბამისი უწყების დაინტერესების შემთხვევაში მზად ვართ საინტერესო და მდიდარი მასალები გადავცეთ მათ.

“ყველას ერთნაირად როლი სტკივა აფხაზეთი”

ცნობილი ქართველი ნეიროქირურგის, პრაქტიკოსისა და მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის - ნაპო მესხიას წიგნი „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“, რომელიც მარშალ „ივერიონმა“ გამოსცა, უნიკალური მოვლენაა წიგნის სამყაროს ჩვეულ სივრცეში. იშვიათი მაინც.

ინელი წარმოსადგენია, რომ ავტორს გაეხდეს და თავის წიგნში გამოექვეყნებინოს საკუთრივ მის წინააღმდეგ მიმართული, მისეული პოზიციის, თვალსაზრისის, მტკიცებულებათა წინააღმდეგ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში დაბეჭდილი კატეგორიულობითა და არცთუ ყოველთვის ეთიკური ნორმების დაცვით გამორჩეული პოლემიკური წერილები.

ამას გამბედაობა სჭირდება, უპირველესად კი, დარწმუნება საკუთარ სიმართლეში, რომელსაც მეცნიერული ანალიზი და საზოგადო მოღვაწის ტემპ-მარიტი პატრიოტიზმი ასაზრდოებს.

ეს თვისებები რომ არა, სხვა ვერაერთი მოტივი ვერ აიძულებდა წარმატებულ ნეიროქირურგს, 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა და გამოგონების ავტორს, ნეიროქირურგიული მეურნეობის ახალი მეთოდების შემქმნელს, ხელი მოეკიდა საქართველოს უახლესი ისტორიის ისეთი პრობლემის განხილვისა და ანალიტიკური შეფასებისთვის, როგორიც აფხაზეთის დაკარგვის საკითხია ჩვენთვისაც და აფხაზეთისთვისაც. სპეციალურ (თემატიკის მიხედვით)

ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემა ურთიერთგამომრიცხავი, კონცეპტუალურად განსხვავებული შეფასებებით არის წარმოდგენილი.

„1987 წელს ბატონმა ნაპო მესხიამ დააარსა ნეიროქირურგიული ცენტრი ქალაქ სოხუმში და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას, - წერს საქართველოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, - ცენტრი ცნობილი იყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც...“

ამ ცენტრში კეთდებოდა ზურგის ტვინის, ნერვებისა და თავის ტვინის ოპერაციები მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ბატონ ნაპო მესხიას გამოცდილებისა და მის მიერ დანერგული ახალი მეთოდების წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობა ბევრი ნევროლოგიური დაავადების დროს“.

ერთ მხარეს - ეს, მეორე მხარეს - ძებნა ისტორიული სიმართლის. იგი ორივეს შესწავლა.

„ეს წიგნი შეგვახსენებს აფხაზეთს და ჩვენს ძირითად მისიას, რომელიც აფხაზეთს უკავშირდება“, - აღნიშნავს წიგნის რედაქტორი იური პაპასქვა. პარადოქსია, მაგრამ ვაქტი: „იმდროინდელი პოლიტიკური პროცესების ყოველმხრივი სამართლებრივი ანალიზი წარუმატებლობის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, ომის გარ-

დაუვალობა თუ აუცილებლობის რესურსები უმაღლეს სახელმწიფოებრივ დონეზე დღემდე შეფასებული და დეკლარირებული არ არის“ (გვ. 11).

ან როგორ იქნებოდა, როცა, როგორც ყოველთვის, „ქართველების აღმა ხნული კახელებმა დაღმა ფარცხეს“?!

ამიტომ წაიკითხეთ ეს წიგნი აკვირებული აზრის გარეშე, ყველა აქ წარმოდგენილი „პრო“ და „კონტრა“, რადგან (ყველა ბატონ იური პაპასქვას დავესხებები) - „ამ წიგნზე დიდხანს ისაუბრებენ - აღტაცებით (ვისაც სიმართლის მოსმენა ძალუძს), აღშფოთებით (ვისაც შეეხნენ და ამხილეს), გაცხებით (ვისაც ავტორის გამბედაობა გააკვირვებს), ოპტიმიზმით (ვინც კი მშობლიური კერისკენ მიბრუნების ორტოსოდენა პერსპექტივას დაიმზავრებს თან)“ (გვ. 239).

და, მიაქციეთ ყურადღება ერთ, აღსარებასავით წარმოთქმულ დებულებას: „რაც გინდა ვიბაქიბუქოთ, ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში ჩვენი წვლილიც (ცხელ თავებში აფეთქებული გადაწყვეტილებები) რომ ურევია, ამის ხელდაღებით უარყოფა უპასუხისმგებლო სიჯიუტეა, რომელიც ჩირადაც არ ღირს“ (გვ. 241).

ამ სახელდახელო შეფასებას წიგნის ავტორის მოწოდებით დავამთავრებ:

„აწი ჯერი თქვენზეა, პიერფასო მითხველო! ყველაზე უკეთ თქვენ შეძლებთ გააჩნით მტყუანი და მარტალ“.

არმაზ სანუალოძე

პირთაღართი სანქსია - ჯარიმ

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაკავებული მსხვილფეხა პირუტყვის კონფისკაცია აიკრძალა, - ეს გადაწყვეტილება ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს სხდომაზე მიიღეს.

„მსხვილფეხა პირუტყვის აკრძალვის დონისიებების შესახებ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა. დადგენილებაში იყო პრაქტიკულად უმოქმედო რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებდა საერთო სადგურზე გადაყვანილი პირუტყვის რეალიზაციას, ეს პუნქტი ამოღებულ იქნა და დარჩა ჯარიმა, რომელიც რასაკვირველია გამოყენებული იქნება“, - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ მერაბ ქვარაძემ.

ყოველივე სასიკეთოსადმი კრიჭაში ჩამდგარი ფრაქცია „ნაცმოძრაობის“ წევრს, ბათლიმე შელას მიანიდა, რომ თვითმმართველობამ ასეთი ცვლილების შეტანის ნაცვლად, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის პრობლემის მოსაგვარებლად სხვა მექანიზმი უნდა მოეფიქროს.

„პირუტყვის აკრძალვის შესახებ დონისიებების დადგენილებაში ამოიღეს პუნქტი, რომელიც არც მოქმედებდა, ქალაქი კი ისევ პრობლემის წინაშეა, ცენტრალურ ნაწილში, ყოველდღიურად, შეგახდება მსხვილფეხა პირუტყვი. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან, ზედამხედველობის სამსახურში მეტი თანამშრომელია საჭირო, რომ მოვალეობას თავის გაასრულებ“, - განაცხადა შელიამ.

ამ ეტაპზე, ზუგდიდის საკრებულოს დადგენილებით, მსხვილფეხა პირუტყვის მეპატრონე პირველ ჯერზე 20 ლარით ჯარიმდება, მეორედ კი - 50 ლარით.





# „ლაზაზი შვილის გაგზავლი ღელა მიხვინია გმიკაღა“

თითქოსდა, ტყვია დამახალეს, იმგვარად შემძრა მერი ჩაგუნა-ესეხუას გარდაცვალებამ...

ასეთ დედას თუ ათქმევინა დიდმა ილიამ: „აჰ, ამ დღისთვის გაგიზარდეს, მამლო შვილი, სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“-ო.

ქალბატონი მერი დააკლდა სრულიად საქართველოს...

წამომშალენ „მოგონებანი გარდასულ დღეთა“... ის, პირველი შეხვედრა გამახსენდა;

გაზაფხულის ერთ უმშვენიერეს დღეს, თბილისიდან ზუგდიდს რომ გავემგზავრეთ. ჩემს შვილთან ჟურნალისტ ნათია ჩუბინიძესთან ერთად (გონახე მასალას ამხადებდა), რათა ქალბატონი მერისა და ბატონი სერგო ესეხუას ოჯახს ვსტუმრებოდით. მაგრამ, ჯერ, მოვიინახულეთ გონას და გიას საფლავები.

\*\*\*

მანცხვარკარის ეკლესიის ეზო... იქვე, გზიპირს გვერდიდგვერდ აღმართული ობელისკია, საიდანაც იმდღეგარი გაიდუმალეული მხერით „დღემდე რომ რეკავს საქართველოში“, შემოგვცქერიან ჯვრისანსამოსელიანი ძმები, უფროსი გია და ანა, კაცები, რომლებსთვისაც „მხოლოდ სამშობლო განსაზღვრავდა მანდილს, კაცის სიკვდილს და სიცოცხლეს შორის“. იცოდნენ, კარგად იცოდნენ გასაცარი დედის აღზრდილმა გასაცარმა შვილებმა, რომ „სამშობლო დედის ძუძუთ, არ გაიცვლებს სხვაზედა“.

და როდენ სამწუხაროა, რომ ასეთი დედა და დიდი ქალბატონი უკანასკნელ გზაზე გააცილა სრულიად საქართველომ...

\*\*\*

ამათა სასაფლაოდან წამოსულები, მალე თავისუფლებისათვის თავდადებული ვაჟკაცების გია და გონა ესეხუას ეზოს მივადექით...

შავოსანი დედა, ქალბატონი მერი, რა ხანია, ჭიშკართან გველოდა, დიდი სითბოთი და სიყვარულით შემოგვეგება, ახლობლებით გადაგვიხვით ერთმანეთს და შინაურებით მივიკითხ-მოვიკითხეთ.

მერე ეზოში შეგვიძღვა. ეს ეზო კი არა, პატარა სამოთხე გახლდათ. გასაცარი სიღამაზე გადაიშალა წინ, ყვავილთა სიმრავლე და მრავალფეროვნება, მგალობელთა საამური სიმფონია და ფერთა გამები შერწყმოდა ერთმანეთს... თითქოსდა, ჯერაც ახდოდა სიცოცხლის ოხვიარი გონასა და გიას ნაფხუვებს.

- ამ ბაღში ყველაფერი გონას გაკეთებულია, - გვიხსნის ქალბატონი მერი, - ყველაფრის ნიჭი ჰქონდა, მე-4 კლასში იყო, ეს ლამაზი სუვენირი გამხმარი ხიდან რომ გამოკეთა. მისი სიკვდილის შემდეგ დავთვალო და ოცდაათი გამოვიღა. სწორედ იმდენი, რამდენიც იცოცხლა.

თუმცა, შვილებდაკარგულ დედას თითოეული დღე და სიცოცხლე ძაძად და ცრემლად ჰქონდა ქცეული, ჩვენს წინ, მაინც სულით გაუტეხელი, საქართველოს სატივარზე ღრმად მოფიქრალ-მოწუხარი, მყოფარი ქართველი მანდილოსანი იღვა. ასეთი შვილები აღმზრდელისაგან, რაღა იყო გასაკვირი, მაგრამ, მაინც განმაცვიფრდა აღმზრდელთა შვილმკვდარი დედის თავგანწირვისადმი სრულმა მზადყოფნამ, უსამართლობისადმი დაუმორჩილებლობამ და სამშობლოს მტრების მიმართ უკომპრომისობა. ამავე დროს, მოგვიხსნა მისმა დედმა სათნოებამ, ღრმა ეკლესიურობამ, კაცთმოყვარეობამ, სიკეთემ, მის კოლხურ თავაზიანობასა და სტუმარმოყვარეობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

\*\*\*

ბოლოს, იმ შეშინულ კვადრატულ ჩარჩოსაც მივადექით, რომელშიც ის ჯვრისანი სამოსი იყო მოთავსებული, ასე რომ უყვარდა გონას, აგერ იმდენად, რომ შეიმშვენა და ამ შესამოსელით დაივიანა ჩვენს ხსოვნაში. შეშინულ ჩარჩოში გამოფენილი ჯვრისანი სამოსი, როგორც ერთადერთი შემზარავი მოწმე და თანამონაწილე, თავისუფლებისმოყვარე, ლაღი, ბედისადმი დაუმორჩილებელი გონა ესეხუას სიცოცხლის უკანასკნელი წუთისადა. სამიზნედ, გული ამოერჩიათ... ის გული, სიყრმიდანვე „სამშობლოს გრძნობას გასაკვირველს“ ასე სათუთად და რუდუნებით რომ ატარებდა.

ჰოდა, იმ საბედისწერო დღეს, მიხანმიმართულად გასროლილმა ტყვიამ გონას გულიცა და სამოსელიც დაუნდობლად გაგლოჯა, თან შემზარავი წუთების უკუდაგვაცივად, ზედ სისხლიანი ლაქებიც შეატოვა.

სწორედ ის წუთები იყო ჩემთვის ერთ-ერთი უმძიმესი და გაუსაძლისი, რაც კი 90-იანი წლების საქართველოში განმიცდია და გადამიტანია...

ვიდეკი ცოცხალ-მკვდარი, ამ უსასრულო ტრაგედიის პირისპირ და ვგრძობდი „ტანზე, ჟრუნტლად როგორ მეღვრებოდა, იმ წუთებში განცდილი მარადისობა“.

გაქვავებულ-დადუმებული იდგა დედა... მომეჩვენა, რომ აღარ სუნთქავდა, უფრო მეტიც, აღარც პაერი მოძრაობდა... ეს იყო, საშინლად დამორტყმული სინამდვილე, რომელიც საბოლოოდ, ვერ შეკავებულ ცრემლთა ნიაღვარმა ერთიანად წააფრია და დაარბია...

\*\*\*

ტკივილით, ცრემლით, მაგრამ ცოცხლობდა დედა... მაინც, იფურცლებოდა კალენდარი ესეხუას ოჯახში, სიცოცხლე თავისას აკეთებდა და მაინც გრძელდებოდა... სამშობლოსა და სამშობლოს ზვარაკადქცეულ შვილებზე ფიქრ-საზრუნავი თავისას ითხოვდა, ყოველდღიურობა კი - თავისას.

უამრავი სტუმარ-მომსვლეელი ჰყავდა საყოველთაოდ ცნობილ ოჯახს ესეხუასისა. ყველას აინტერესებდა ის გარემო, რომელშიც დაიბადნენ და აღიზარდნენ გმირი ბიჭები და ისიც - ვინ იყო ასე „ლაზაზი შვილის აღმზრდელი დედა“ - ქალბატონი?!

ცხოვრება გრძელდებოდა, ტკივილით, მაგრამ, მაინც გრძელდებოდა, ხანამ ერთ საბედისწერო დღეს, საბოლოოდ არ ჩაქრა მისი ამქვეყნიური სიცოცხლე და მარადისობაში არ გადავიდა.

\*\*\*

„ვის უნახავს, უფლის ხელით დახატული“ მანცხვარკარის ეკლესიის ეზო? ვის გინახავთ, იქვე, გზისპირას აღმართული ორი მარმარილოს ობელისკი,

საიდანაც ტკივილიანი მხერით შემოგვეცქერიან ძმები გია და გონა ესეხუები.

მათ ნაღვლიან მხერას გულგრილად გვერდს ვერ აუვლი... მამა უკვე, რა ხანია, მათთანაა, მაგრამ, ნეტა, რას გრძნობენ ბიჭები საყვარელი დედის მოლოდინში?!

სდუმს მანცხვარკარზე „უფლის ხელით დახატული“ სასაფლაო კვლავაც, სდუმს „ერთ იესოს ლურჯი ტანი“...

სდუმან ძმები - გია და გონა ესეხუები!

\*\*\*

რახანია, გაზაფხული მოეძალა კოლხეთის მიწას... ერთბაშად აფუტქდა და ახმაურდა ბუნება...

ესეხუების ბაღში ფერების ნამდვილი მეჯლისი გამართულა. დიდ, იისფერყვავილეებიან უღამაზეს ხეს შესვენიან მგალობლები და ისეთი ბგერები ისმის, გონას ზღაპრული ბავი უფრო და უფრო ემგვანება სამოთხეს. აქ, კაცის ნაბიჯებზე მეტად, უკვდავება დააბიჯებს.

ამ ოჯახიდან, სამშობლოს დასაცავად, ხომ ქედზე კაცი გამოვიდა.

„მკვდრად იგი თქმულა, ვისაც სახელი არ დაარჩინიაო“ და ასე სახელიანები გაუშვენ გზას მარადისობისაკენ.

\*\*\*

ფიქრობ, ამ გასაცარი ქალბატონზე და მახსენდება ილიას „ქართვის დედის“ სიტყვები: „სულიც ამომდის, არ ყოფილა ძნელი სიკვდილი, როცა, შენ შენი აღასრულე, მამული... შვილი!“

ქალბატონო მერი, „ლაზაზად შვილების აღმზრდელი“ დედაც, განა, თქვენ, ღირსეულად არ აღასრულეთ ქართველი ქალის და დედის ვალი, მამულისა და ქვეყნის წინაშე?!

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ვაჟკაცების სისხლით მორწყული დალოცვილი ქართული მიწა, გმირი გიასა და გმირი გონას გამზრდელი, ასე, სახელიანო დედაც და დიდი ქალბატონი!

ნაზი ნაპროზაშვილი, მსახიობი

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს!

ბატონო დავით, საზოგადოება „ზუგდიდელი“ არის არაპოლიტიკური და არაკომერციული ორგანიზაცია და იგი წარმოადგენს მოქალაქეთა ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას, აქვს წესდება და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულეზას. მათგან ძირითადია ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების, მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვის, ზნეობრივი და ეთიკური ქცევის ნორმების დამამკვიდრებელი ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა.

სამწუხაროდ, დღეს ე.წ. ლიბერალები ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მასმედიის მეშვეობით ეწევიან საკმაოდ ვრცელ, მიზანდასახულ, ორგანიზებულ პროპაგანდას საქართველოში მოსახლეობისთვის ისეთი მიუღებელი ცხოვრების წესების დასანერგად, როგორიცაა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მარისუანის დეკრიმინალიზაცია, საქართველოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საზოგადოება „ზუგდიდელის“ ინიციატივით, მიმდინარე წლის 5 აპრილს შედგა ზუგდიდის საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა ფართო სპექტრის შეკრება, რომლებმაც ერთხმად დაგმეს ყოველგვარი არატრადიციული და მოითხოვეს, პარლამენტს წარედგინოს შეკრების მონაწილეთა შემდეგი წინადადებები:

1. დაკანონდეს კონსტიტუციით, რომ „ქორწინება არის სისხლით ნათესაობის არმქონე ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ურთიერთობა“.
2. პასპორტში ჩაიწეროს მამის სახელი და ეროვნება.
3. დეტალურად შესწავლილ იქნას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქართველოში ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი, რომელთა საქმიანობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისთვის კატეგორიულად მიუღებელია.
4. მიღებული იქნას კანონი ლგბტ-თა აღლუმების ჩატარება-მოწყობის აკრძალვის შესახებ.
5. მიღებულ იქნას კანონი მარისუანის

დეკრიმინალიზაციის დაუშვებლობის, მარისუანის მომხმარებელთა ადმინისტრაციული წესით დასჯისა და მისი პოპულარიზაციის აკრძალვის თაობაზე.

ბატონო დავით, ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით ყოველგვარ არატრადიციულს. საქართველოს პარლამენტი არჩეულია ქართველი ხალხის მიერ და დარწმუნებული ვართ, რომ მოუსმენს ხალხის სამართლიან მოთხოვნას; იმ მოთხოვნას, რომლის მიზანია ჩვენი მომავალი თაობის წარდგინება გადარჩენა და ქვეყნის მომავალზე ფიქრი.

ველოდებით პარლამენტის სამართლიან გადაწყვეტილებას.

1. ახალაბა ორლანდო, წმ. ლუკას სახ. მრავალპროფილიანი კლინიკის დირექტორი;
2. ბარამია ანზორი, ჟურნალისტი, მწერალი;
3. ბენდელიანი ნატო, აფხაზეთის №12 საჯარო სკოლის დირექტორი;
4. ბზარამია მანანა, ბიბლიოთეკის დირექტორი;
5. ბობია ლაშა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
6. ბობოხია ირაპლი, ქალაქის მერი;
7. ბუბუხია იური, დეთისმშობლის ტაძრის მშენებლობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი;
8. ბუბუხიანი პოტი, მუხუხუმების ცენტრის დირექტორი;
9. მაღლაზა ზანტაშვილი, დეკანოზი;
10. ვამუა პარლი, საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი;
11. თორბა ბელა, პოლიციის მაიორი;
12. თოლორაბია ემილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი;

13. კალანდია აბაში, სამხატვრო გალერეის დირექტორი;
14. კამუზარია ნატალი, კულტურის ცენტრ „ოდიშის“ დირექტორის მოადგილე;
15. კამუზარია თემური, მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი სპეციალისტი;
16. კვარაცხელია ზურაბი, მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისის უფროსი;
17. კვარაცხელია შაჰრო, შპს „ტერმინალი“ დირექტორი;
18. კიბლაშვილი კლიმენტი, შრომის ვეტერანი;
19. მაღლაზია ნუზარი, ზუგდიდის დასუფთავების ცენტრის დირექტორი;
20. კუხალიაშვილი დავითი, იურისტი;
21. მამურობია ნინო, კულტურის ცენტრ „ოდიშის“ დირექტორი;
22. მატაბაზა მზია, №1 სამუსიკო სკოლის დირექტორი;
23. მაძაგარია ორლანდო, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი;
24. ნანაშა მაიშირი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
25. ნარსია ლაშა, გრ. ხეიტას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
26. ნაჭვამია ბონადო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;
27. ნაჭვამია მანანა, სასულიერო გიმნაზიის დირექტორი;
28. ნაჭვამია მურმანი, საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
29. ოტოპაბია ბური, მწერალი;
30. სართანია ბიზო, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

31. სართანია ნუზარი, შპს „ენგურპეისის“ დირექტორთა საბჭო;
32. სართა ნუზარი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;
33. სოსელია ბიზი, შპს „ფაიფურის“ დირექტორი;
34. შანცავია ოთარი, საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე;
35. შიშია მამა, საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი;
36. შვარბია მირაბი, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე;
37. ძირია ლალო, ჟურნალისტი;
38. ძობალია თენგიზი, მუნიციპალური გამგებობის ურბანული განვითარების არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
39. ძუშულორია ანზორი, შპს „მექანიკური კომბინატის“ დირექტორი;
40. ღაღა ზამირა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
41. შანაშა თენგიზი, მუნიციპალური გამგებობის უფროსი;
42. ცანაშა ლაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;
43. ცანაშა თამაზი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
44. ციციანი მამუა, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორი;
45. ცხაღია ვახტანგი, რეგიონული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი;
46. ცხონია ზურაბი, მწერალი, ჟურნალისტი;
47. ჟიჟურია მამუა, გრ. ხეიტას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი;
48. ჟოჟორია მამუა, რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის დირექტორი;
49. ჰითანაშა თენგიზი, შემოსავლების სამსახურის რეგიონის ოფიცერთა სექტორის უფროსი;
50. ჰილია პოტი, №11 სკოლის პედაგოგი;
51. ხაინაშა ბესო, შპს „ცერეას“ დირექტორი;
52. ჯბუშია ნათია, გაზეთ „ვერისის მაცნე“ დირექტორი;
53. ჯიძია ბონდო, საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი;

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაურგრძობს კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერი ეროვნული გვარდიის ბატალიონ „კოლხეთის“ მეთაურს ანზორ ჩხეიძეს მეუღლის და ყოფილ პოლიტპატიმარ ანზორ (ვალტერ) ონიგავას ბიძაშვილის ინიზია სანიკიძე-ჩხეიძის გარდაცვალების გამო...



# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

## ბიორბი სიჭინავა 74 წლისაა...



ჩვენი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო შვილი, პოეტი, პროზაიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ბატონი გიორგი სიჭინავა იუბილარია... ქართულ და მეგრულ ენებზე არაერთი შესანიშნავი და მე ვიტყვოდი მათ შორის რამდენიმე შედეგრალური ნაწარმოების ავტორი 1942 წლის 10 მაისს დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში...

გულოცავ ჩემს ძველ, ძვირფას მეგობარს იტივლებ... ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს... ვიცი რა, მისი ოცნების და ნატურის შესახებ – ბუნებრივია ვუსურვებ, რომ მალე ენახოს გადარჩენილი, აღორძინებული შურობუმუ ოდაბადე...

გური ვაგიტახა დო გომორტვიორი ქოფოფდა ჩქიმი გიორგი... P.S. გაზეთი "ილორო" და სახალხო მოძრაობა "სამბრელო" ულოცავენ ბატონ გიორგის დაბადებიდან 74 წელს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## 9 მაისი...

და, აი მოვიდა კიდევ ერთი 9 მაისი... დღე – სიმბოლო მეოცე საუკუნის ვაისფერ ჭირზე გამარჯვებისა... 9 მაისი... ამ დღეს, 1945 წლის 9 მაისს, მოსკოვში, წითელ მოედანზე გენერალისიმუს სტალინის თვალწინ სახეიმო მარშით ჩაიარეს ძღუ-ვა მოსილი საბჭოთა არმიის ინტერნაციონალურმა ქვედანაყოფებმა... ამ დღეს გმირმა მეომრებმა ამაყ კავკასიელ მხედართმთავარ-ტრიუმფატორს ფერხით დაუყარეს ძღუელი და განადგურებული

მესამე რაიხის დროშები... დიახ, ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში მანამდე არნახული და არგაგონილი მასშტაბის საომარ ბატალიებში გამარჯვებული სახელმწიფოს ხალხის, არმიის და სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთობლივი, გასაოცარი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული დიდი გამარჯვების ბრწყინვალე ზეიმი...

და, მით უფრო ფასეულია, მით უფრო მნიშვნელოვანია ამ სამკედრო-სახიცოცხლო შერკინებაში ფაშიზმზე გამარჯვება, რამეთუ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მან...

და, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ „ძღვევი საკვირველის“ მონაწილენი ჩვენც ვართ... და, უნდა გვახსოვდეს, რომ ბოროტებაზე სიკეთის ამ გამარჯვებაში ჩვენმა ერმაც საკუთარი წვლილი შეიტანა...

დიახ, ეს ასეა და ფაშიზმზე გამარჯვების ამ გრანდიოზულ და საამაყო მემკვიდრეობაზე ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვთქვათ უარი, რამეთუ ის გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაცაა... ის მემკვიდრეობა ჩვენი მემკვიდრეობაცაა...



დიახ, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ისიც, თუ რას ბოდავდა შლეგი და არამხადა ეფრეიტორი... ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ თუ როგორ აპირებდა ის „კაცობრიობის განთავისუფლებას ისეთი ქიშკირისაგან, როგორიც არის სინდისი“...

დიახ, ჩვენ არ შეიძლება ეს დავივიწყოთ, თუ თვითონ არ ვართ უკვე სინდის-ნამუსისგან თავისუფლები და უსაშველოდ გადაგვარებულები...

არ უნდა მივცეთ დავიწყებას თუ როგორ აპირებდნენ გერმანია და თურქეთი საქართველოს დაქუცმაცებას...

უნდა ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ პიტლერს და მესამე რაიხის მესვეურთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრში დამეები უძილოდ როდეს უთენებიათ... უნდა ვიცოდეთ – ტრაგიკომიკური და

უფრო მეტიც, სრული მარაზმია ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის წუწუნი იმაზე, რომ არა თურმე ფაშისტების დამარცხება – ისინი დღეს ბავარიული ლუდით სიამოვნებით გაიჭყიპებოდნენ... ახავია, ახავია... არ უწყვიან უგუნურებმა, რომ ფაშისტების გამარჯვების შემთხვევაში უდიდესი ალბათობით ჩვენს უახლოეს ნათესავებს: დედებს, მამებს, ბებებს, ბაბუებს, დიდ ბებიებს, დიდ ბაბუებს მხუთავ გახკამერებში აღმოსდებოდათ სული...

სავალალოა, ძალიან სავალალოა და ეროვნული თვალსაზრით უადრესად სახიფათოც, რომ ჩვენს ერში აშკარად შესამჩნევია დღეს ფასეულობათა დევაღვაცია... დეგრადაციის და დეგენერაციის აშკარა სიმპტომები შეიმჩნევა დღეს ჩვენი საზოგადოებრიობის მნიშვნელოვან ნაწილში... ძალიან, ძალიან სახიფათოა ეს, რადგან ცოტანი ვართ კოლხ-იბერები... დიახ, მცირერიცხოვანი ვართ და შესაძლოა ამან გაქრობამდეც მიგვიყვანოს... ასე რომ, ნუ ვეთამაშებით ბედისწერას კოლხ-იბერნი... მრავალი ვი გაქრალა ისტორიის ასპარეზიდან და ვინძლო ჩვენც არ შევუერთდეთ მათ...

არ მსურს ვრცელი გამოძივდეს ნაწერი... აქ დავასრულებ...

ვევლას გილოცავთ 9 მაისს! გილოცავთ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დიდ დღესასწაულს!

უფალო, არ მოაკლო წყალობა და მფარველობა ჩვენს ერს...

უფალო, გადაარჩინე კაცობრიობა...

უფალო, გაგვიანთე გონება და მოგვიტყვე შეცოდებანი ჩვენი...

## ბამკვირვებია...

ერთი რამე გამკვირვებია... წარსულში დისიდენტობაზე ვისაც რაღაც პრეტენზია გააჩნიათ იმ ადამიანების კიდევ ასე თუ ისე მესმის... ანტიისოვეტნიკებად მოაქვთ თავი ამ ადამიანებს და მერე რა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს მათი ანტისოვეტნიკობა გახვიადებული როა... მე ახლა იმ ადამიანებზე მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა, აი, იმაზე – მთელი თავისი წარსული ცხოვრება კომუნისტური მოძრაობის, შრომის და საერთოდ საბჭოთა და ბრუნვეული ცხოვრების წესის პროპაგანდაში რომ აქვთ გატარებული... და, რა საინტერესოა, რომ ეს ადამიანები დღეს, 9 მაისს, ფაშიზმზე დიდი გამარჯვების დღეს განაქიქებენ... თუნდაც აქაც, ფეისბიუკშიც დებენ ვითომ მაღალინტელექტუალურ, სინამდვილეში კი, თავისი არსით ბითურულ პოსტებს... ეს ადამიანები მერე რა რომ არასდროს არ ყოფილან შემწივლენი ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების

დაცვა-პროპაგანდაში... ის კი არა, ნამდვილ დისიდენტობთან მისაღმებისაც კი ვერ იდუბოდათ სუკის ყოველმჭერტელი თვალის შიშით... იყენენ თავისთვის და გულში ალბათ შეუკურობებდნენ საკუთარი უდიდამო ცხოვრების აფორიაქებისათვის ე. წ. არაფორმალურ... რა დამოუკიდებლობა, რის თავისუფლება... მშვენივრად ცხოვრობდნენ ამ ტიპის ობივანტელები... ჰქონდათ სამხახური, ბინა, პურის ფული... აბა მეტი არც უნდოდათ არაფერი... ახლაც კარგად გრძობენ თავს... ასე თუ ისე შეგუებული არიან თავიანთ ყოფას... აფხაზეთზე უბრალოდ ისე, გულს გარეთ, ზერეღედ საუბრობენ... იციან მისი დაბრუნება არაა ადვილი საქმე... ნატოს, ნახოს, გოდოს მოლოდინში არიან... ან შესაძლოა არც არიან ვინმეს თუ რამეს მოლოდინში, უბრალოდ არიან ისე... მაგრამ მთლად ასეც არ არის... ეს ტიპები რუსოფობიით იკვებებიან... რუსოფობია მიანიშნათ მათ თავისი ცხოვრების სტიმულატორად... ამ ტიპებს ვერ გაავებინებ რომ ჩვენს მდგომარეობაში მეოფე ერისათვის ახლა უმთავრესია, სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესია მეზობელ რუსეთთან უკაცრავად და "ჩასვრილი" ურთიერთობის მოგვარება... მათ ვერ გაავებინებ იმას, რომ ეს ჩახუტება კი არაა, არამედ, საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის არის უადრესად საჭირო და აუცილებელი... გასაგებია, რომ სტრატეგიული აზროვნება არა აქვს ამ ტიპის ვითომ ინტელექტუალს, მაგრამ ელემენტარული კეთილგონიერებაც რომ არ გააჩნია ესაა მისი უბედურებაც... თუმცა, საზოგადო უბედურებაცაა ამ მენტალიტეტის ადამიანების სიჭარბე ჩვენს სამშობლოში და ესაა საგანგაშო და დამაფიქრებელი... მართლა დავიდალე ამთი შემყურე... მაგრამ ჩემი დადლა რა მოსატანია, როცა ესენი უკვე სერიოზულ პრობლემას უქმნიან ქვეყნის მომავალს... ასეთების გამოსიხობით ქვეყნის გამთლიანება-გადარჩენის საკითხი დგება უადრესად დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ და უფალო გაუნათე მათ გონება... უფალო დაიფარე კოლხ-იბერია...

...ეს ადამიანები კი, დღესაც, 9 მაისის დიდი გამარჯვების დღეს თავს უფლებას აძლევენ მინიაკალური სიშლეგით განაქიქონ წარსული და ვითომ წარსულში მაგარი ანტისოვეტნიკები ყოფილიყვნენ და არა რომელიღაც პროვინციელი კომუნისტ-ავიტატორები – ფეისბიუკში ივაკვებით გვესაუბრებიან...

ახავია ჩქიმი ქიანა...  
**ზურაბ კვარაცხელია,**  
ზუგდიდი

# “პანამური ქაღალდები”, ასათიანის შოუ, პრემიერი-“სპასაწული...”, ანუ ვინ ჩაყვინთავს ბაზალეთის ტბის ძირას? (პროვოკატორის კუთხე)



ერთ ხმაში “ამდერდნენ” “ნაციონალები” და “თავისუფალი დემოკრატები” – ივანიშვილსა და მის მიერ მართულ ხელისუფლებას პოლიტიკური ნება არა აქვთ, რომ რუსულ სპეცსამსახურებს წინააღმდეგობა გაუწიონ, აგერ ჰკითხეთ, თუ გნებავთ, გენერალ-მაიორ ლევან გვაზავასო.

“რუსთავი 2”-ის ეთერში გვაზავამაც არ დააყოვნა და თქვა, რომ ერთმა სუსელმა ტერაბაიტის მოცულობის ინფორმაცია მიწადა ცხინვალის გავლით, მოსკოვსო. ეს

სუსელი კიდევ თელავის უნივერსიტეტის ლექტორობიდან მოუხსნიათ ცოტა ხნის წინ და უშიშროების სამსახურში გადაუყვანიათ, “ქართუ ბანკის” (“ბიძინბანკს” რომ ეძახიან) უშიშროების მესვეურის დახმარებით.

საქართველოსაც აქვს საიდუმლო ინფორმაცია, მაგრამ ეს ნაკლებად აღელვებს და აინტერესებს უკვე ხალხს, რადგან თუ რამე საიდუმლო იყო ქვეყანაში, ეველაფერი ან ტელევიზიით “მოფეგვს”, ან ინტერნეტით გაავრცელეს. უტიაშვილმა (კვესიტაძის ქმარია, ვგონებ) კი თქვა, “დაყენებული” სახით, რუსეთის სპეცსამსახურებს მსოფლიო ებრძვის, მაგრამ ხელისუფლებას ეგ არ აღელვებს, სინქრონიში მოქმედებენო. ცალკე გივი თარგამამემ გვადირსა და გახსნა საინფორმაციო დრუ ხალხის დასამოძღვრად. ვილაც ექსპერტმა თქვა, უბრალოდ, “ოცნების” ხალხი რუსებს არ აწვადებს, ისე აწვდის ინფორმაციას პუტინს, თორემ მაგათი გაუგებარი მაინც არაფერი რჩებაო. მსოფლიო კი ებრძვის რუსეთის სპეცსამსახურებს, მაგრამ ვიზალიბერალიზაცია კი მიუციათ უკვე ევროპელებს “დიდი დათვისთვის” და ჩვენ შემოდგომამდე უნდა ველოდოთ!

საკუთარი დაბალი რეიტინგის დარდით

აღელვებული პოლიტიკოსები ხელისუფლებისკენ თითს ბუკენ და იძახიან, ცოტა დრო გვრჩება წინასაარჩევნოდო. ვინ უშილიდა ამ მამაცხონებულებს, დაეწყოთ ადრე. მაგათაც სხვა საქმე არ ჰქონოდათ! “ნაცდამსაკურმა მოძრაობამ” ისევე “პანამური ქაღალდებისა” და არადეკლარირებული ქონების საკითხი წამოსწია ელექტორატის მოსახიბლავად! თურმე კადაქესა და ბიძინას დამალული ჰქონიათ ფინანსურ-მატერიალური აქტივები და ამაში ყოფილა მთელი ბოროტება! ბუნებრივია, კეხურაშვილის ოფშორული მაქინაციები სრულყოფილი სიკეთის გამოვლინება!

ამ ბოლო დროს მთელი ყურადღება მათა ასათიანის შოუსა და პრემიერ კვირიკაშვილისკენ მიმართა საზოგადოებამ. თურმე შოუები რყვიან მაყურებლებს (პარლამენტში ბილწსიტყვაობა და მუშტიკრივი ზნეობის ეტალონია!) და პრემიერი აკეთილშობილეს ქვეყანას! კვირიკაშვილი ავარისის დროს, “სპასაწულია”, დაცვის გარეშე დადის, შავი ჯიპები სიულს, მეტროსა და “პაღუმეკას” იყენებს და მეხოტბეებს ავიწყლებათ, რომ მთავრობის მეთაური ტუალეტშიც ივლის! ერთმა ისიც კი განაცხადა, უნივერსიტეტიდან გამოსვლისას

მიწისქვეშა გადასასვლელში “პერაშესაც” იყიდდაო და ნიპილისტები ამბობენ, აგრე მიშაც გაფრინდა ადრე სხვა მგზავრებთან ერთად მოსკოვში, მაგრამ მერე ჩაგვამწარა დანარჩენი ვიზიტებით, ის ეკონომიაო! ისე, აქ რა მოსატანია, მაგრამ კვირიკაშვილმა ფრიალ “გულის მომკვლელო” ინფორმაცია გაავრცელა: ბურჯანაძესა და “პატრიოტებთან” აღიანისს არ ვაპირებო!

სავარაუდოდ, “ქართულ ოცნებას” ბევრს ვერაფერ დააკლენს ბიძინას მცურავი ხეები, “ნაციონალურ მოძრაობას” კი ვერაფერს უშველის – “ენდაის” გამოქვეყნებული კვლევები.

P.S. თქვენ რომ მოგწონთ, ეგეთი ლიდერი მარტო ბაზალეთის ტბის ძირიდან შეიძლიათ ამოიყვანოთ და გაზარდოთ, – უთქვამს ბიძინას. – ჯერ სიცივეა და ზაფხულზე ვცადოთ ბედით, – გამოუცხადებით პარლამენტის სიბოზს მიჩვეულ პოლიტიკოსებს. შალვა ნათელაშვილს გაუპროტესტებია, ეგ ბაზალეთური ყრმა უკვე ამოყვანილია კაი ხანია და მამანქმა შეძლო ეს ამბავი, ოღონდ ერთხელაც არ მანდეთ ქვეყანა, თქვენ კი შეგივრცხვით საარჩევნო კულტურაო!





“საქართველო არჩევანი სივილიზაციულ სიყვარულს და რუსეთს შორის უნდა გააკეთოს”

„ავს თუ ავი არ ვუწოდებ, კარგს სახელად რა დავარქვამ?“  
დ. გუზარაძე

სათაურში გამოტანილი ფრაზა ლიბერალური ფრთის წარმომადგენლებს ეკუთვნის, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას მუდმივად შეახსენებენ, რომ ქვეყნის საგარეო კურსი საფრთხეშია და არ უნდა შეიცვალოს.

რა არის ცივილიზაცია? „ცნობიერების, მენტალიტეტის, რელიგიის, კულტურის, ცხოვრებისა და აზროვნების ერთობლიობა, რომელიც ერის, სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა შორის კავშირების ჩამოყალიბების პროცესს განსაზღვრავს“ – ვკითხულობთ უცხო სიტყვებას განმარტებით ლექსიკონში. აქვე მითითებულია, რომ ცივილიზაცია არის საზოგადოების განვითარების მე-3 საფეხური, რომელიც ველურობასა და ბარბაროსობას მოსდევს. ევროპული ქვეყნები დღეს ძირითადად ტექნიკური პროგრესის მქონე ქვეყნებად აღიქმებიან, მაგრამ რა ცნობიერების, სულიერების, მენტალური და რელიგიური კულტურის მატარებელია ამ ქვეყნების პოლიტიკა? ანტიკური გონიერება შერწყმულია ქრისტიანულ მორალთან და ხელოვანობასთან – ეს ევროპული ღირებულებაა, მაგრამ ინკვიზიციებით დაღდასმული ევროპა მოსახლეობისათვის სოციალური ფონის გაუმჯობესებით ცდილობს ხალხის ნდობის მოპოვებას, ევროპის პოლიტიკა ასოცირებულია სხვადასხვა კატეგორიის უზენაესობასთან: პომოსექსუალიზმი, პედოფილია, ინცესტი, ბავშვთა პორნოგრაფია, ნეკროფილია, ზოოფილია, ნათლობის აკრძალვა. ევროპულმა ე.წ. თავისუფლებამ დანაშაულის წარმოადგენელი კატეგორიაც კი წარმოშვა – ინფანტიციზმი, ანუ სექსუალური ლტოლვა ახალშობილთა მიმართ და ჩვენი გონებისათვის მოუწოდებელი იდეებაც უნდა ველოდოთ გამრავლებული ფსიქიკის მქონე ცხელი თავებისაგან. ამას ემატება ისიც, რომ დღეს ევროკავშირის ქვეყნებში პიტლერიზმი იდოლოგიური ნაშისწევრები ყვავის. მაგ. ინგლისში ადამიანის კანისაგან შეკერილი ტანსაცმლით თავს იწონებენ და როგორ ფიქრობთ, დიდი მანძილია დარჩენილი კანბალიზმამდე? ევროპაში მოქმედებს კანონი მშობლებისაგან ბავშვების განრიგებისა, რაც ხდება თუნდაც იმის გამო, რომ ბავშვმა მართლმადიდებლური იდეოლოგიის მქონე ლექსი წაიკითხა!

ევროპასთან „ასოცირებულ“ საქართველოს სახლერებს ნიაღვარივით ასკდება უზნეობა, სიბილწე და ჩვენ მას ვეღარ ვაკავებთ. სირცხვილია, საქართველოში ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის სადისკუსიო თემად ვაქცით და კონსტიტუციაში ჩაწერით ვცდილობდეთ თავი დაევიწყათ უზნეობის დამკვიდრებისა. პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლამ გამოიწვია უზნეობის დემორალიზაცია. არასდროს ასე წახალისებული არ ყოფილა საქართველოში უზნეობა, როგორც დღეს. ჩნა ხდება განათლების სისტემაში? – ჩვენივე ქვეყანაში ეროვნული და ქრისტიანული მორალისადმი მტრულად განწყობილ ადამიანებს უნდათ აღზარდონ ბავშვები, ტენი გამოურეცხონ, გონება წაუბღვრონ და ქართული ცნობიერების შევსებად აქციონ.

ტელევიზორში განხდა კადრები შიშველი ადამიანებისა, რომელნიც შევიცარის ქმენში პოზირებენ! ეს „თავისუფლებით“ თავს იწონებენ! ეს მიგვანიშნებს, თუ როგორ ემსგავსებიან ადამიანები პრიმატებს. დღევანდელი ევროპული „ცივილიზაცია“ საზოგადოებრივი განვითარების ის საფეხურია, რომელიც ველურობასა და ბარბაროსობას კი არ მოსდევს, პირიქით, მისკენ გადადგმული ნაბიჯია. რუსეთი თავის მოქალაქეებს ასე არ გამოათავყვანებს და პრიმატებად არ აქცევს. ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ ქართველებს მსგავსი არაფერი გვემუქრება. უზნეობამ წააქცია და გადაურა უძველეს მართლმადიდებლურ ქვეყანას – საბერძნეთს, ფსქქემ გათვალეს უკრაინა, ღირსება შეუღალეს ქართულ მამაკაცებს. აღარაფერს ვამბობ იტალიასა და საფრანგეთზე, სადაც მრავალსაათიანი მიტინგების მიუხედავად ერთსულოვანია ქორწინება დაკანონდა. ჩვენ უკვე ცივით რა უნდა იმის მატარებელია ევროკავშირი და ამ ქვეყნების მიერ გაკვალულ გზაზე უნდა ვიაროთ იმიტომ, რომ ჩვენი ხელისუფლება მსუფველ დაფინანსდეს ქვეყნისა და ხალხის დღაღრის ხარჯზე? რა შედეგი გამოიღო „პატრიოტთა ალიანსი“ ლიდერების დასავლეთის „მაღალი დონის“ სენატორებთან თავქუცმოდს დაჯილდოვებით, შეასმინეს რაიმე მათ ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების შესახებ და ამიტომ აქვთ ევროკომისიის წარმომადგენლებს

„მართლმადიდებლური ჭინთები“ ატეხილი ჩვენი პატრიარქის წინააღმდეგ? იქნებ ამ „მაღალი დონის“ სენატორებმა სააკაშვილი დამნაშავედ სცნეს და ამიტომ უკრაინის დასანგრევად არ გაამწყესეს? ამ ვაიპატრიოტებმა ვერ შეიგნეს (ან შეგნებულად თავს ისუფლებენ დასავლეთიდან მწვანე შუქის მოლოდინში), რომ საქართველო დასავლეთს ერთ უხერხულ ადგილზე აკიდა თავისი პოზიცია-ოპოზიცია და ხალხი, ჩვენი მხოლოდ მანიპულირებენ და თავიანთ ინტერესებს ასორციელებენ. ჭეშმარიტად ეროვნული გზა კი აფხაზეთზე, სამაჩაბლოსა და რუსეთზე გადის. ამიტომ, საზოგადოებრივად უნდა გააცნობიეროს, რომ ნებისმიერი ძალა, რომელსაც დასავლეთისკენ აქვს გეზი ადებული მხოლოდ თავის დივიდენდებზე ფიქრობს და არა ქვეყნის კეთილდღეობაზე, ხოლო მათი ნებისმიერი საარჩევნო დაპირება ფუჭი და ყალბია, განუზრუნვლად იმისა, „ქართულ ოცნებას“ დაორქვეს თუ „პატრიოტს“. საშოქალაქო საზოგადოებას ამჟამად პულისი არ ეხიზება, ხოლო N1 მოქალაქე, რომელმაც ქართველ საზოგადოებას ქართული ოცნება მოუკლა და დაუსაფლავა, დასავლეთის დირექტივების უპირობო შემსრულებელია. ბიძინა ხომ გადაგვარჩინა... – კვლავ გვესმის ჩვენი თანამემამულეებისაგან. – თქვენ თუ გადავარჩინათ კონკრეტული ინტელიგენციის წარმომადგენელი თქვენც უნდა იყოთ მადლიერი, მაგრამ თქვენ – საქართველო არა ხართ! დიახ, დადებითი მოვლენა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის დაკვეთით მოქმედებდა. ვასოცარი და შემაშფოთებელი მისი მენტალიტეტი მარისუანას ლეგალიზაციასთან დაკავშირებით: მაგალითი დასავლეთის ქვეყნებიდან ავიღოთ. ამერიკაში მარისუანას ლეგალიზაცია მოხდა, ე.ი. მათ მსგავსად მოეწამლოთ ჩვენი ახალგაზრდობა?!

ქართველი კაცისათვის თითოეული გოჯი ქართული მიწისა ფასდაუდებელი და შეუცვლელია, ხოლო სამშობლოს მონობა ოდითგან ქართველთა ხვედრი იყო: „დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“... ამბობს დიდი ტიციანი და ამ უღელს ქართველი ვაკაცები ღირსეულად ატარებდნენ საუკუნეების მანძილზე. საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაიდან დაწყებული ამერიკის უღელი დაადგა ქართველ ხალხსა და საქართველოს ისე, რომ არც უკითხავს ქართველებისთვის გინდა კი ბრისუხიდან და ამერიკიდან განხორციელებული დიქტატის ქვეშ ცხოვრება? თუ არა საგარეო ვალის ზრდა, ევროპას საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია განსხვავებით სოციალისტური რუსეთისაგან, რომელთან ურთიერთობის პერიოდში საქართველო ყველა მიმართულებით ყვოდა. თუ ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ორიენტირებული საარჩევნო დაპირების თანახმად, კითხვს ჩვენ აფხაზ და ოს მშებს, უნდათ ასეთი საქართველო კაცური დირსების შემლახველი ანტიდისკრიმინაციული კანონებითა და ერთსულისა ქორწინებაზე მოლაყბე პოლიტიკანებით? ბუნებრივია, რომ გარე ძალების გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყანა საკუთარ სახეს კარგავს და ის საინტერესო აღარ იქნება ოსებისა და აფხაზებისთვის. ახლაც ცდილობს ხელისუფლება მათ მოხიბვლას ევროპაში უფიხო მიმოსვლით, მაგრამ არ მოხიბვლენ და სწორედაც მოიქცნენ! ან, თუ ფიქრობს ხელისუფლება, რომ რუსეთი დაუშვებს მისი საზღვარი და შავი ზღვის სანაპირო დასავლეთმა აკონტროლოს?! დღეს დასავლეთისკენ დამოხრებული და დირსებაყრილი საქართველოს ხელისუფლება ილტვის. – „ფული და ძალაუფლება“ – აი მისი იდეა.

მე რატომ უნდა დავდიოდე თვალმდებრივად და თავანდუნებულად, დანაშაულის გრძობით, როცა ყოველ ათ ნაბიჯზე ჩემს გაუბედურებულ თანამემამულეს ვხედავ და ძირეული დახსიანების აღმოჩენა არ შემძლია? ხოლო თქვენ, ხელისუფლების წარმომადგენლები, ამ ფონზე რატომ უნდა ზრდიდეთ კიდევ 42 მილიონით სამთავრობო ხარჯებს?! როცა 25 წლის წინ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ეს ჩვენი ქვეყნის წარმატებისა და კეთილდღეობის გარანტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მივიღეთ ნგრევა და უბედურება, გახვდით ამერიკის კოლონია. ჩვენი დამოკიდებულება ამერიკისათვის ეს არის დაპყრობილი, დამონებული ქვეყნის დამოკიდებულება და ხელისუფლებას ერთი საკვანძო საკითხის გადაწყვეტაც არ შეუძლია დამოუკიდებლად. ამერიკის დღევანდელი ე.წ. დემოკრატიული იდეალიზმის ბრძოლა თითქმის იგივეა, რისთვისაც რუსეთს წარსულში რევოლუციური იდეა-

ლებისთვის აკრიტიკებდნენ იმ განსხვავებით, რომ ასეთი მასშტაბური დამანგრეველი ომები რუსეთს სხვა ქვეყნებში არ უწარმოებია. რამდენად მომგებიანია დასავლეთისთვის ასელო აღმოსავლეთის ექსპანსია? – იგი ყიდის იარაღს და აკონტროლებს ნავთობს. ეს ოკუპირებული ქვეყნები ანტიკვარული ნივთებისაგან იძარცვება. ფასდაუდებელი რელიქვიების მქონე მუზეუმების დარბევა ხდება და იყო შემთხვევები, როცა ეს ნივთები ამერიკის კორნელის უნივერსიტეტში აღმოჩნდა. ერაყის, სირიის, ლიბიის, ეკვიპტის ძარცვაში კი დამნაშავენი დასავლეთის პოლიტიკოსები და სამხედროები არიან, ხოლო მიგრანტების კრიმინალური ქმედებები შუაგულ ვეროპაში – ეს საზღაურია იმისა, რაც მათ ქვეყნებს დამართეს.

ამერიკის მოსახლეობა ომების წინააღმდეგია. ამიტომ ამერიკა შენიღბული მეთოდებით იბრძვის თითქოსდა ადამიანის უფლებების დაცვისთვის, მაგრამ, სინამდვილეში თავად არღვევს ამ უფლებებს, როცა თავს ახვევს სხვა სახელმწიფოებს თავის ცხოვრების წესს და ფაქტიურად, იდეოლოგიურად ანგრევს. ქვეყანას, სადაც 4 პრეზიდენტი მოკლეს და გაყალბებული მტკიცებულებებით უდანაშაულო ხალხის გასამართლება ხდება, ასევე 62 მოწმის სიცოცხლის ხელყოფა სხვადასხვა გარემოებაში, შეიძლება დემოკრატიული უწოდო და მის დამყარებულ იდეებს შეეწიროთ ჩვენი თანამემამულეები? ქვეყანა, სადაც ჯერაც არ არის გახსნილი შეკვეთილი მკვლელობები ჩვენს ქვეყანაში მისცემს საშუალებას გაიხსნას ასევე შეკვეთილი მკვლელობები? არც გაიხსნება! თუ უკანია ამერიკის დემოკრატიის შექურათთან დაპირისპირებამ იმსხვერპლა, ასევე, ამერიკის ინტერესები გადაკვეთა ზ. გამსახურდიამ და ბ. პატარკაციშვილმა. ამ მკვლელობების გახსნა მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების მოხელის შემდეგ იქნება შესაძლებელი. დანტერესებული პირები აუღლებენ გამოძიების შედეგებს და მალავენ სიმართლეს, ხოლო ძალადობრივი სიკვდილის შემოქმედი თავად ხელისუფლებაა არა მარტო ამერიკაში, არამედ იმ „შეგობარ“ ქვეყნებშიც, სადაც თავიანთი ინტერესების განხორციელება ძალად. საქართველოში კრიმინალური რეჟიმის რეანიმაცია სურთ. ამას მოწმობს NDI-ს გაყალბებული კვლევები, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ადამიანის უფლებებს არცერთ ქვეყანაში დასავლეთი არ იცავს.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, როცა უცხოური კომპანია სსრკ-ში კერძოდ, ციმბირში ოქროს მოპოვებულ სამუშაოებს აწარმოებდა, მუშებს კატორღულ პირობებში ამუშავებდა, ხოლო რუსეთის ოქროს 93% საზღვარგარეთ გაედინებოდა. ამ კაბალური ხელშეკრულების პირობებით, რაც რუსეთის ახალგაზრდა სახელმწიფოსთან მქონდა გაფორმებული, რუსეთს მხოლოდ ოქროს 7% რჩებოდა. რატომ მაშინ არ ფიქრობდა ევროპა მუშათა უფლებების დაცვაზე და რატომ იყო იგნორირებული ამ სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა? იმიტომ, რომ სხვა სახელმწიფოთა გადატაკების, დაკინების, მათი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე მიეღო მაქსიმალური მოგება ევროპულ სახელმწიფოს. დღეს იგივე ძალისხმევა ხორციელდება რუსეთის მიმართ მისი სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად და ამის ერთ-ერთი გზა საქართველოზე გადის. საქართველოს ხელისუფლება ანტირუსულ რიტორიკაზე გადასული და ამერიკელთა უკანაღის იმედად გულმოცემული დივიდენდების ნანაცვლოდ ატმორე რუსეთს უპირისპირდება და ულტიმატუმს ერთი ელაპარაკება, რასაც თვით ამერიკის პრეზიდენტიც ვერ ბედავს. მსგავსი გაუაზრებელი რიტორიკით ხელისუფლება საფრთხეს უქმნის მთელ საქართველოს, ხოლო რუსეთს ამით არაფერი აკლდება. ასეთი რიტორიკისთვის ხომ არასამთავრობოები და ხელისუფლება ამერიკისგან ფინანსდება? განა N1 ლიბერალსტი – უსუფაშვილი არ დნაოდა რუსეთზე ზეწოლა გააძლიეროთ? ანტირუსული ისტერია სახეზეა: მკვლელი საენჩნკოს განთავისუფლების მოთხოვნა თუ „გაზარდის“ საწინააღმდეგო დაფინანსებული აქციები. ეს შემოგდებული თემებია, ამერიკელთა დაკვეთის შემსრულებელი ადამიანები კი ქართულ ცნობიერებას, საკუთარ სამშობლოს უცხადებენ ომს, ან აქვთ კი „სამშობლოს განცდა განსაკვირველი“ ამერიკა სხვისი ხელით ქმნის ქაოსს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ცნობილია, რომ უკრაინაში მიადნის მოსაწყოებად 5 მილიარდი დახარჯა, ხოლო მიადნის ინიციატორი – ვიქტორია ნულანდი ერთი ხელით ფუნთუშებს არიგებდა, ხოლო მეო-

რეთი სნაიპერებს „მეტი ინტრიგისკენ“ მოუწოდებდა.

